# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 29 იანვარი, 2010 წელი.

№17 (6383)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ბიუჯეტს ორი მილიარდით გარღვევა ელოდება?!



3

მთავრობისა და პრეზიდენტის ფონდების გახარჯვის საკითხი კვლავ გაუმჭვირვალეა

## დავით აღმაშენებელი თავქარიანთა და ქალწვერიანთა ეპოქაში

4



ღია წერილი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს



2

## ზაქარია ქუცნაშვილი: მამაჩემის თავისუფლების სანაცვლოდ მზად ვარ დანაშაულიც კი ჩავიდინო!

## 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

9

## „რუსეთთან ურთიერთობათა ნორმალიზაციის გარეშე საქართველო ერთიანობის შანსს კარგავს“

8





3

## საჭირო ცვლილებები ეკლესიის შიგნით უნდა ხორციელდებოდეს და არა „თავისუფლების ინსტიტუტის“ კარნახით

## „პროცენტიანი სახრჩობელა...“ ყველას გვემუქრება

4

## ქვეყანას შველა სჭირდება!..

2

წარმომადგენლობითი ეროვნული კრების მოწვევის საინიციატივო ჯგუფი საზოგადოებას მიმართავს

## შეჭირვებული ევროპელები და გალაღებული ქართველები,

2

ანუ კიდევ იკითხავს ვინმე, რას ნიშნავს ხელისუფლების არაადეკვატურობა?

ხმა ქვეყნის გასაგონად

# ქვეყანას შველა სჭირდება!..

## წარმომადგენლობითი ეროვნული კრების მოწვევის საინიციატივო ჯგუფი საზოგადოებას მიმართავს

**საქართველოში წარმომადგენლობითი ეროვნული კრების მოწვევის საკითხმა სწრაფად გაიჩინა მომხრეები როგორც ინტელიგენციაში, ასევე საზოგადოების სხვა ფენების დანარჩენ დიდ ნაწილში. ბევრს ეს იდეა უკვე ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ ხსნად მიაჩნია, რაც გასაკვირი სულაც არ არის. ეროვნული კრების მოწვევის საინიციატივო ჯგუფში ხალხისთვის ბევრი საყვარელი ადამიანია (ნონა გაფრინდაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ესაძე, სხვა მომხრეებიც მრავლად ჰყავთ, ისინი, ვისთვისაც ნამდვილად არ არის სულ ერთი საქართველოს მომავალი.**

ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა განაცხადა, რომ ჯერ სრულად არ არის ჩამოყალიბებული წარმომადგენლობითი ეროვნული კრება, მაგრამ, რაც მთავარია, არსებობენ ის ადამიანები, რომლებმაც ბრძოლის ასეთი გზა აირჩიეს, მომხრეებიც გაიჩინეს და აქტიურად განაგრძობენ თანამოაზრეთა შემოკრებას.

— ჩვენ გვჭირდება ხალხის მხარდაჭერა, — აღნიშნა ქალბატონმა ნონამ, — რისთვისაც უწინარესად ხალხისავე ინფორმირებაა საჭირო, რომ ხელისუფლების მხრიდან არ მოხდეს არასწორი ინფორმაციის გავრცელება.

მიზეზი კი, რის გამოც საჭირო გახდა ეროვნული კრების მოწვევა, ქალბატონმა ნონამ ასე დაასაბუთა:

— ქვეყანაში უკეთესობას ვერ ვხედავთ, გაჩუმებამ შედეგი, რასაკვირველია, არ გამოიღო, ყველაფერში უკუსვლა შეინიშნება. რაც მოსალოდნელია, მაგალითად, ადგილობრივი არჩევნები, არც ის არ გამოიღებს სასურველ ნაყოფს, რადგან არ არსებობს ნორმალური, სათანადო საარჩევნო კოდექსი.

რაც ხდება, თუნდაც ამჟამად უკრაინაში, გვაფიქრებინებს, რომ შეუძლებელია, ამხელისუფლების გჯეროდეს. ამიტომ მივმართავთ საზოგადოებას. ქვეყანა თავზე რომ არ დაგვექცეს, საჭიროა ხმა ამოვიღოთ. ეს არ იქნება რიგითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ისედაც ბევრია და თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. ჩვენ გვაქვს მიზანი, რომლისთვისაც ბოლომდე ვიბრძოლებთ ყველა კონსტიტუციური ნორმის დაცვით.

წარმომადგენლობითი ეროვნული კრების მოწვევის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა გაავრცელეს მიმართვა საზოგადოებისთვის.

**გთავაზობთ ამ მიმართვას:**

— — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**ძვირფასო თანამემამულენო,**

**ვცდილობთ მოგაწვდინოთ ხმა თითოეულ თქვენთაგანს, ვინაიდან აღარ ძალგვიძს უმოქმედო მოწმეებად დარჩეთ ჩვენი სამშობლოს დაკნინების, ქართული სახელმწიფოს ნგრევის პროცესისა.**

**ქვეყნის დემოკრატიული პერსპექტივა კატასტროფის წინაშეა. დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა, ყოველდღიურად ნადგურდება ქვეყნის ეკონომიკა, განათლების, ჯანდაცვის, თავდაცვის და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის სისტემები. განუხრელად იზრდება საგარეო ვალი. არნახულ მასშტაბებს აღწევს ნარკომანია. მოსახლეობა ტოვებს საკუთარ სამშობლოს, სადაც ზეობს უსამართლობა, პოლიტიკური ტერორი.**

**ქვეყნის მოქალაქე აღარ წარმოადგენს რაიმე ღირებულებას ხელისუფლებისთვის. ადამიანს აღარ აქვს მთავარი — სიცოცხლისა და ღირსების ხელშეუხებლობის უფლება. ციხეები ივსება უკანონო პატიმრებით.**

**ჩვენს ქვეყანას შველა სჭირდება! წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის რეალობა ბევრად მძიმე იქნება, ვიდრე დღევანდელი აუტანელი ყოფაა!**

**ვითარების გამოსწორების ნაცვლად ხელისუფლება ცდილობს მუდმივი ილუზიების ტყვეობაში ამყოფოს ხალხი, რისთვისაც სიცრუის მანქანად გადაქცეულ კონტროლირებად მედიას და მის ხელთ არსებულ დეზინფორმაციის ყველა სხვა საშუალებას იყენებს. ხელისუფლება, რომლის ქმედებების გამო, ოკუპირებულია ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედი, აგრძელებს უპასუხისმგებლო, აგრესიულ რიტორიკას და უსაფუძვლო ტრახაბს, რაც კიდევ უფრო ზრდის ახალი დამანგრეველი პროცესების განვითარების საფრთხეს.**

**ბოლო დროს, ჩვენი ხელისუფლების ქმედებები საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ ბადებს სერიოზულ ეჭვს, რომ იგი არ დაუშვებს საქართველოში თავისუფალი არჩევნების ჩატარებას.**

**ჩვენ, ქართული საზოგადოების ერთ ჯგუფს, მიგვაჩნია, რომ დროა, საქართველოს მრავალეროვანმა მოსახლეობამ საფუძვლიანად გააანალიზოს ქვეყანაში შექმნილი ვითარება, ჩამოაყალიბოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთიანი ხედვა, რომელიც მისაღები იქნება საზოგადოების ყველა ფენისთვის, ხოლო მისი რეალიზაცია სავალდებულო გახდება დღევანდელი და მომავალი ხელისუფლებისთვის.**

**ვფიქრობთ, რომ არსებული ვითარებიდან გამოსავლის ძიებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია სრულიად საქართველოს სახალხო წარმომადგენლობითი კრების მოწვევას.**

**მოგიწოდებთ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ ძალებს, ამ გადამწყვეტ ჟამს, ყველაზე მაღლა დავაყენოთ სამშობლოს ინტერესები! მაქსიმალური ძალისხმევით ჩავერთოთ სახალხო წარმომადგენლობითი კრების ფორმირებაში ქართული სახელმწიფოს ღირსეული მომავლის დასამკვიდრებლად!**

**განსაკუთრებული იმედით მოგმართავთ ახალგაზრდებს. ეს თქვენი ქვეყანაა! დღევანდელი სწორი არჩევანი, თქვენი გონი და ენერგია, თქვენი აქტიური პატრიოტიზმი ჩვენი სამშობლოს ერთიანობის და კეთილდღეობის გარანტიაა!**

**ნუ გავახარებთ მტერს!**

**გავერთიანდეთ ერთიანი, თავისუფალი, სამართლიანი და ძლიერი საქართველოსთვის!**

პრესკონფერენცია

# ზაქარია ქუცნაშვილი: მამაჩემის თავისუფლების სანაცვლოდ მზად ვარ დანაშაულიც კი ჩავიდინო!



**იურისტმა ზაქარია ქუცნაშვილმა „შერატონ-მეტეხი პალასში“ პრესკონფერენცია გამართა, მან სპეციალური განცხადება გააკეთა მამამისის პროფესორ ომარ ქუცნაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე. როგორც გაირკვა, მამამისის მძევლობის 18 თვის თავზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მისთვის მინიჭებული ვადის ბოლო დღეს, ძალაში დატოვა წინა სასამართლოების მიერ გამოტანილი უკანონო განაჩენი.**

„იმის გამო, რომ სასამართლოები არ ასრულებენ ობიექტური მართლმსაჯულების ფუნქციას და საქართველოში ამოიწურა გასაჩივრების ყველა ინსტანცია, ხელისუფლებას ვთავაზობ მძევლის გაცვლის წინადადებას, რომელიც დღევანდელი საქართველოსთვის უცხო არ არის. ჩვენი მოქალაქეები ამ მოთხოვნით ხან კოკოითს, ხან ბაღაფშს და ხან სააკაშვილს მიმართავენ... ბატონო სააკაშვილო, გთავაზობთ წინადადებას, ხაზგასმით თქვა ზაქარია ქუცნაშვილმა, თუ თქვენ მამაჩემს, უდანაშაულო ადამიანს და დამსახურებულ მოქალაქეს, მისი ღირსების შემლახველი, შეწყალების მოთხოვნის გარეშე გაათავისუფლებთ, მე მზად ვარ დავიკავო მისი ადგილი საქართველოს ნებისმიერ საპყრობილეში და გაპროტესტების გარეშე მოვიხადო დარჩენილი 30-თვიანი ვადა. ჩემი წინადადება რომ არ მიიჩნიოთ უსაფუძვლო შემოთავაზებად, მზად ვარ ჩავიდინო დანაშაული, რაც თქვენს ძალოვანებს ჩემს დაპატიმრებაზე ბრძანების გაცემის იურიდიულ საფუძველს მისცემს...

ქუცნაშვილმა აგრეთვე ისაუბრა იმ დარღვევებზე, რაც სასამართლოებში მიმდინარეობს. დღეს უამრავი უკანონო პატიმარია, რომელთა საქმეებიც აუცილებლად საჭიროებს საფუძვლიან გადახედვას.

— რამდენიმე თვის წინათ დავიწყეთ სამართლიანობის აღდგენის კამპანია, მიმდინარეობს უკანონო პატიმართა სიების დამუშავება და ჩვენ ამ სიებს 30 მარტს აუცილებლად გაგაცნობთ, — თქვა ბოლოს ზაქარია ქუცნაშვილმა და უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებასთან დაკავშირებით დაასახელა თერთმეტი კონკრეტული შემთხვევა.

**მერი ქურასბედიანი**

ვაი ჩვენს პატრონს!

# შეჭირვებული ევროპელები და გალაღებული ქართველები,

## ანუ კიდევ იკითხავს ვინმე, რას ნიშნავს ხელისუფლების არაადეკვატურობაო?

**კოპენჰაგენის ცენტრში შობამდე ორიოდ კვირით ადრე დადგმულ ნაძვის ხეს მოხალისე ბავშვები და მათი მშობლები იქვე დამონტაჟებული ველოსიპედების თვლების ბრუნვით გამომუშავებული დენით ანათებდნენ...**

**საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ პარიზის მერს ოფიციალურად სთხოვა, რაკი მეზობელ ქვეყნებში საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი ჯერაც საბოლოოდ არ დაძლეულა, იქნებ თავი შევიკავოთ საშობაო-საახალწლო დღესასწაულის პომპეზურად შეხვედრისგანო...**

**გუშინწინ დავოსში ტრადიციული ეკონომიკური ფორუმი გაიხსნა, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრეზიდენტები და მთავრობათა მეთაურებიც მონაწილეობენ. როგორც ტელევიზიით გვაუწყეს, ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, ამ ერთობ მნიშვნელოვან თავყრილობასაც ხაზგასმული უბრალოებით „აუღია სტარტი“...**

მსგავსი მაგალითების მოყვანა, ბევრად მჭევრმეტყველურისაც, კიდევ საკმაოდ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, კმარა, რადგან ქართველებს არავისგან გვესწავლება (ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო) ერთი ელემენტარული ჭეშმარიტება: **თუ მეზობელს უჭირს და ეტირება, რაგინდაც გილხინდეს, ტაშ-ფანდური და ჰარი-ჰარალი არ უნდა გააჩაღო.**

მით უფრო მაშინ, თუ ძირითადად სხვისი იმედით და დახმარებით არსებობ!..

ვგონებ, არც ამის „საპირწონე“ დღევანდელი ქართული მაგალითების მოყვანაა საჭირო!

ისედაც ყველამ ყველაფერი იცის და ყველა ყველაფერს ხედავს!

ოღონდ გააჩნია, ვინ და როგორ აღიქვამს მათ.



**მაგალითად, ეკა ხერხეულიძისა და მისნაირთათვის „ცხოვრება მშვენიერია“ ახლაც და „ყველაფერი კარგად იქნება“ მომავალშიც, მაგრამ სიღარიბის კი არა, სიღატაკის ზღვარს მიღმა მცხოვრებ ქართველთა უმეტესობისთვის?..**

გუშინ ჩემმა ერთმა მეგობარმა ჩამილექსპრომტა: **როცა ხალხი „პლაჩიტო“, რაღად გვინდა პლაჩიდო?** რა გვეოპერ-გვემღერება, მსოფლიოს ამ უპირველესი ტენორის ჩამოყვანა ხომ დიდი ფული დაგვიჯდებაო!..

მერე საიდან ეს ფული?

ნუთუ მართლა სჯერა ჩვენს ხელისუფლებას თავისივე ნათქვამი, — ისეთი მაგრები ვართ, რომ მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა ვერაფერი დაგვაკლოო?

**ეკონომიკური რას დაგვაკლებდა, როცა ეკონომიკა, როგორც ასეთი, ფაქტობრივად არა გვაქვს?**

რაც შეეხება საფინანსო კრიზისს, თუ ყველაფერი თავზე არ ჩამოგვექცა, ეს არა მარტო უწინარესად, არამედ **მთლიანად იმ 4,5 მილიარდი დოლარის წყალობაა, შარშან მსოფლიომ რომ გამოგვიყო და მისი საგრძნობი ნაწილი კიდეც „გავასუხარეთ“.**

მაგრამ ამის 60 პროცენტზე მეტი რომ სესხია, რომლის გადახდა 5 წლის შემდეგ უნდა დავიწყოთ?!

რაო? ჩემს შემდეგ (ანუ 2013 წლის მერე) თუნდაც ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო?..

მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, ვიდრე 60-იანი წლების დასაწყისამდე, დასავლეთ გერმანელთა ხმა მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე თითქმის არავის გაუგია, ყველანი, დიდიან-პატარიანად, პრეზიდენტ-კანცლერ-დამლაგებლიანად, თავაუღებლად, გერმანული აკურატულობითა და პასუხისმგებლობით შრომობდნენ მიწასთან გასწორებული ეკონომიკის ასაღორძინებლად.

**მხოლოდ მერე, რაც ეკონომიკურად გაიმართნენ წელში, ამოიღეს ხმა. თანაც ისე რიხიანად, რომ გერმანელთა ორად გამყოფი ბერლინის კედელიც დაინგრა...**

გერმანელებმა კარგად იცოდნენ, რომ პოლიტიკა ეკონომიკის ზედნაშენია და არა — პირიქით, როგორც ჩვენში ჰგონიათ...

თუმცა ერთიც კია: **გერმანელები მეორე მსოფლიო ომში დამარცხდნენ, ჩვენ კი გაგვიმარჯვია 2008 წლის აგვისტოში.**

ჰოდა, გამარჯვებულს, თანაც ყოველმხრივ წელში გამართულსა და ცხოვრებააყვავებულს, ზოგჯერ აქვს კიდევაც ხმამაღლა მოლხენის უფლება!

მაგრამ თუ მეზობელს უჭირს?

**ამ დროს უაზრო და უზომო ტაშ-ფანდური უზნეობაა, სხვის ხარჯზე ქეიფი და ყელყელაობა კი — ორგზის უნამუსობა!**

თუმცა უნამუსობა, მოგეხსენებათ, ხალხური გამოცდილებით, ის სენია, რომლით დაავადებულიც, უკაცრავად და, რომც შეაფურთხო, ნირს არ შეიცვლის, — ეს რა ჟუჟუნა წვიმა მოდისო, იტყვის!

თუნდაც ამის გათვალისწინებით, აქვს კი აზრი შეგონებას?

**...კოპენჰაგენში თვით საახალწლო ნაძვის ხის განათებისთვის საჭირო ელექტროენერგიას ზოგავენ, თბილისში კი უკვე ორი თვეა, მთელი რუსთაველი ჭაღებითაა(?!) აბდღვრიალებული!**

**კიდევ იკითხავს ვინმე, რას ნიშნავს ხელისუფლების არაადეკვატურობაო?**

**ვინც ამას იკითხავს, ალბათ გულწრფელად შეეცოდება კიდეც დანიელები, ფრანგები თუ, ზოგადად, ევროპელები, — თურმე როგორ უჭირთ საწყლებს ცხოვრებაო!**

**და გულიც უთუოდ უფრო მეტად აევსება მადლიერების გრძნობით მზრუნველი „მამა-მარჩენალის“ მიმართ!**

**რუსლან რუსია**

ეკონომიკა

# ბიუჯეტს ორი მილიარდით გარღვევა ელოდება?!



## მთავრობისა და პრეზიდენტის ფონდების გახარჯვის საკითხი კვლავ გაუმჭვირვალეა

**ფინანსური რესურსების განაწილების მხრივ ქვეყანაში დიდი დისბალანსია. ამის თქმის საფუძველს ექსპერტებს მარტივად აძლევს 2009 წლის ბიუჯეტის ანალიზი. „ეკონომიკის პრობლემის კვლევის ცენტრმა“ საქართველოში არსებული ფინანსური პრობლემების შესახებ მედიისთვის მონიტორინგის შედეგები წარმოადგინა.**

ბიუჯეტს გამჭვირვალობის მხრივ კარგი დღე ნამდვილად არ უდგას. 2009 წლის ეროვნული ანგარიშების ძირითად მაჩვენებელს სტატისტიკის დეპარტამენტი მხოლოდ 2010 წლის ნოემბერში გამოაქვეყნებს, მაგრამ გარკვეული გათვლებით „ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრმა“ მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მოცულობის დაანგარიშება მაინც შეძლო.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ეკონომიკა მხოლოდ 4 პროცენტით „დაუძლურდა“, თუმცა ცენტრის ხელმძღვანელის **დათო ნარმანიას** თქმით, რეალური მონაცემებით ეკონომიკის ვარდნის მაჩვენებელი გაცილებით მეტია. ძალიან ბევრი საკითხი იმსახურებს კრიტიკას, რომელიც საბიუჯეტო კოდექსს შეეხება, თუმცა კვლევის ცენტრის მოსაზრებებს და რეკომენდაციებს ოფიციალური საფინანსო ორგანიზაციები თითქმის არ ითვალისწინებენ. **„ეს განსაკუთრებით ეხება პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის ფონდების გახარჯვის საკითხს. ამ თემის გამჭვირვალობას განგებ არიდებს თავს ფინანსთა სამინისტრო,** — ამბობს დავით ნარმანია, — **უკანასკნელი წლების ხარჯვითმა პოლიტიკამ საკმაოდ კარგად აჩვენა ამგვარი ფონდებიდან სახსრების ხარჯვის მანკიერი მხარეები“.**

ასევე არ არის დარეგულირებული რეგიონალური განვითარების ფონდის საკითხი, მკაფიოდ არ არის გამიჯნული თვითმმართველობისა და ცენტრალური ბიუჯეტის უფლებამოსილება. სავსებით ალოგიკურია ის გარემოება, რომ სახელმწიფო ერთი მხრივ, თვითონ გამოდის მსესხებლის როლში (უცხო ქვეყნებიდან იღებს ვალებსძ და, მეორე მხრივ, თვითონვე გაასესხებს დეფიციტურ რესურსებს. კვლევის ცენტრში ამბობენ, რომ წარმოდგენილი კოდექსით სახელმწიფოს არა აქვს გასასესხებელი ფინანსური რესურსების ფონდი, ამდენად გაურკვეველია, საიდან გასცემს სახელმწიფო სესხს. არც ის არის ცნობილი, თუ ვისზე გასცეს ეს სესხები.

კვლევის ცენტრის წარმომადგენელმა **შოთა მურღულიამ** დეტალურად ისაუბრა იმ ხარვეზებზე, რაც ახასიათებს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადასაცემ ტრანსფერებს. კვლევებმა უჩვენა, რომ ტრანსფერები გათანაბრების პრინციპით არ ნაწილდება. მაგალითად, თუ შარშან თბილისის ბიუჯეტი 152 მილიონი იყო, წელს ეს ციფრი გაორმაგდა. რამდენჯერმე გაიზარდა ფოთის ბიუჯეტი — ნახევარი მილიონიდან 4,5 მილიონი გახდა, მაშინ როცა წყალტუბოსა და გარდაბნის თვითმმართველობებს დაფინანსება შეუმცირდათ. სამწუხაროა, რომ ტრანსფერების გამოთანაბრების პარამეტრებსა და კოეფიციენტს ფინანსთა მინისტრი ადგენს, თანაც ასე არამართებულად.

კვლევის ცენტრის მონაცემებით თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული „საპენსიო დანამატების პროგრამა“ უპირატესობას ანიჭებს თბილისში რეგისტრირებულ პენსიონერებს, რაც სახელმწიფო პოლიტიკას ეწინააღმდეგება. ამ პროგრამამ უკვე გამოიწვია უკმაყოფილება და მართებულადაც. ვინაიდან საპენსიო დანამატები და სხვა სოციალური პროგრამები მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებაა, რომელიც ვალდებულია, თანხები მთელ საქართველოში თანაბრად გაანაწილოს.

რაც შეეხება 2010 წლის ბიუჯეტს, კვლევის ცენტრმა საინტერესო მონაცემები და პროგნოზები წარმოადგინა. აღმოჩნდა, რომ 2009 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი ვარიანტის მსგავსად, **2010 წლის ბიუჯეტიც მეტისმეტად ოპტიმისტურია და სრულიად არ ითვალისწინებს იმ რეალობას, რომელიც დღეისთვის ჩამოყალიბდა ქვეყანაში. ექსპერტების ვარაუდით, ამ წელს ბიუჯეტის ცდომილება დაახლოებით 900 მილიონი ლარი იქნება. ამდენად ბიუჯეტის შესრულებას სერიოზული პრობლემები შეექმნება.** ამის საფუძველს I კვარტალი იძლევა, რადგან ფინანსური კრიზისი დაძლეული საბოლოოდ არ არის: 65 მილიონ ლარს შეადგენს კომერციული ბანკების ზარალი, ძალიან მძიმე დღეში არიან სამშენებლო კომპანიები, მოხმარება შემცირებულია 30 პროცენტით, ამას ემატება მაღალი ინფლაცია, ლარის კურსის დაცემა, რაც იმპორტის გაძვირებას იწვევს და ა. შ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით 2010 წლის ბიუჯეტის კორექტირება საგადასახადო საშემოსავლო ნაწილში აუცილებელი გახდება, — ვარაუდობენ ექსპერტები. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიუჯეტის შედგენისას მთავრობამ მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა 21,4 მილიარდი ლარით დაგეგმა. ეს კი დაახლოებით 2 მილიარდით მეტია დამოუკიდებელი ექსპერტების გათვლებთან შედარებით, ხოლო მილიარდით მეტი, ვიდრე თავად მთავრობა ანგარიშობს.

**მოკლედ, თუმცა 2010 წელი ჯერ სულ „ერთი თვისაა“, მაგრამ თერთმეტი თვის პროგნოზები სახარბიელო ნამდვილად არ არის...**

**თეა მოსია**

განსჯა

# საჭირო ცვლილებები ეკლესიის შიგნით უნდა ხორციელდებოდეს და არა „თავისუფლების ინსტიტუტის“ კარნახით

## ინტერვიუ ყოფილ სახალხო დამცველთან, „ალიანსი საქართველოსთვის“ ერთ-ერთ ლიდერთან სოზარ სუბართან

**— ბატონო სოზარ, როგორ აფასებთ ბოლო დროს სოციალურ ქსელ „ფეისბუქიდან“ დაწყებულ კამპანიას, რომელიც საპატრიარქოსა და პირადად პატრიარქის საწინააღმდეგოდ შეფასდა? როგორ ფიქრობთ, საქმე გვაქვს საზოგადოებაში დიდი ხნის განმავლობაში დაგროვებული კითხვების გახმოვანებასთან, თუ მართლაც მიზანმიმართულ პროპაგანდასთან?**

— ეს კამპანია გახმაურებული ვიდეორგოლებით დაიწყო, რომელიც აშკარად გამოხატულ უხამსობას წარმოადგენდა. გამოხატვის თავისუფლებაზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ გამოხატვის თავისუფლება უხამსობას ნამდვილად არ იცავს. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, პროკურატურაში ვილაცების დაბარებისა და დაკითხვების, - ჩვენი კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ რიგ ქვეყნებში უხამსობაზე სისხლის სამართლის დევნა დაშვებულია და სამოქალაქო წესით, ეს დასჯადი ქმედებაა. რაც შეეხება კითხვებს, რომლებიც შემდგომში საპატრიარქოსა და პატრიარქის მიმართ გავრცელდა, ჩემთვის უპირველესად ამ კითხვების ტონია აბსოლუტურად მიუღებელი. კითხვის დასმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ როცა კითხვა პრაქტიკულად ბრალდებას და შეურაცხყოფას მოიცავს, ის უკვე კითხვა აღარ არის. გარდა ამისა, მე თავად ვარ მომსწრე ამ კითხვარში დასახელებული ზოგიერთი ფაქტისა და კარგად ვიცი, რომ ეს აბსოლუტურად უსაფუძვლო ბრალდებებია. მაგალითად, როცა ლაპარაკია 1989 წლის 9 აპრილზე, იქ ვიყავი, როცა მიტინგზე პატრიარქი მიბრძანდა. მან გვითხრა, რომ შეიძლებოდა, ტრაგედია მომხდარიყო და გვთხოვა, ქაშუეთში ჩავსულიყავით სალოცავად. ხალხში ჯერ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ერთმა იყვირა „არა“, მეორემ... შემდეგ პატრიარქის გვერდით მდგომმა ირაკლი წერეთელმა შეკრებილებს მოუწოდა, ერთად გვეთქვა „მამაო ჩვენო“. ადგილიდან არავინ დაძრულა, პატრიარქიც არ წასულა, ხალხთან ერთად დარჩა და მისი სიცოცხლეც, ისევე, როგორც თითოეული ჩვენგანისა, საფრთხეში იყო. ერთი ჩემი მეგობარი — აწ გარდაცვლილი შმაგი დოლიძე პატრიარქს პირადად გადაეფარა.

ასევე არასწორია კითხვარში გამოთქმული ბრალდებები, თითქოს საპატრიარქოს ე.წ. თვითმფრინავის ბიჭებთან ან იგივე გაიოზ კერატიშვილთან დაკავშირებით სასამართლოებზე არასწორი პოზიცია ეკავა. სინამდვილეში აბსოლუტურად პირიქით იყო. ვასილ მაღლაფერიძე მიყვებოდა, რომ საპატრიარქომ საერთოდ იგნორირება გაუწია სასამართლოს მოთხოვნას, მისულიყვნენ და რაღაც ჩვენებები მიეცათ. აქედან გამომდინარე, სხვა კითხვების მიმართაც ჩნდება ეჭვი, რომ ამ ყველაფერში სიმართლის პროცენტი ძალიან დაბალია. კითხვებზეც არაა ლაპარაკი, როცა კითხვა ბრალდების ფორმით არის ჩამოყალიბებული. ახლა რაც შეეხება თქვენი კითხვის მესამე ნაწილს, ანუ იმას, არის თუ არა ეს მიზანმიმართული კამპანიის ნაწილი... 2004 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნების წინ „ნაციონალური მოძრაობის სიის მეორე წევრმა კობა სუბელიანმა დებატებში, რომელსაც ინგა გრიგოლია უძღვებოდა, ასეთი რამ თქვა: ომის გარეშე აფხაზეთს ვინ დაიბრუნებს?! — ეს გამორიცხულიაო. როცა შევხვდი, ვკითხე, ეს რამ გათქმევინა-მეთქი. მართალი ხარ, საჯაროდ ეს არ უნდა მეთქვაო, — მიპასუხა. თავის მხრივ, ვუთხარი, „პრობლემა ის კი არ არის, რომ საჯაროდ თქვი, პრობლემა ისაა, რომ ასე ფიქრობთ“-მეთქი. კობა იქ თავის პირად ნააზრევს კი არა, იმ აზრს გამოხატავდა, რომელიც სააკაშვილის მთავრობაში ტრიალებდა. უბრალოდ მან გულუბრყვილოდ



ეს საჯაროდ გამოიტანა, მისთვის ეს არავის დაუვალებია, ისევე, როგორც თეა თუთბერიძისთვის არავის დაუვალებია იმ ვიდეორგოლების გამოქვეყნება, მაგრამ ეს არის აზრი და განწყობა იმ წრეებისა, სადაც თუთბერიძე ტრიალებს. ეს განწყობები გარეთ გამოვიდა და საბოლოოდ კამპანიის სახე მიიღო. არ ვიცი, დაგეგმილია ეს თუ არა, მაგრამ აშკარაა, რომ ეს გარკვეული წრის შეხედულებებია.

**— ამ კამპანიაში უშუალოდ ხელისუფლების კვალს რამდენად ხედავთ?**

— ეს ხელისუფლებასთან ძალიან დაახლოებული ადამიანების შეხედულებებია, — იმ ადამიანებისა, ვინც ხელისუფლების იდეოლოგიას ამუშავებენ.

**— ბოლო დროს საპატრიარქოს ხშირად ადანაშაულებენ იმაში, რომ ის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერევა და პირიქით, პოლიტიკოსებს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ პატრიარქზე ზეწოლას ცდილობენ. თქვენ რამდენად იზიარებთ ამ ბრალდებებს?**

— საპატრიარქოს ძალიან დიდი გავლენა აქვს, თავად პატრიარქს - უდიდესი ავტორიტეტი და ბუნებრივია, რომ ის ქვეყნის ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე, მათ შორის პოლიტიკურზეც გავლენას ახდენს. აქ რაიმე ზღვრის გავლება ძალიან ძნელია. ზოგადად ჩემი პოზიციაა, რომ არ უნდა მივიღოთ ცეზაროპაპიზმი, სადაც მეფე ეკლესიას მართავს, არც პაპოცეზარიზმი, სადაც პაპს ხელისუფლების ფუნქციები აქვს ათვისებული, მაგრამ საზოგადოებაში ეკლესიას, რელიგიას გავლენა საერთოდ არ ქონდეს, უბრალოდ გამორიცხულია. ეკლესიასა და საზოგადოებას შორის ჩინური კედელი ვერ აღიმართება, ვერანაირი სეკულარიზმი ამას ვერ მიაღწევს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ურწმუნოები უნდა ვიყოთ, ვინაიდან არ შეიძლება, ერთის მხრივ, მორწმუნე იყო, გწამდეს, რომ ქვეყანა ამ გზით უნდა განვითარდეს, ადამიანები ასე უნდა ცხოვრობდნენ და მეორეს მხრივ, საერო ცხოვრებაში ხმას აძლევდე იმას, ვინც სრულიად საპირისპიროს ქადაგებს. ასე რომ, ამ ორი სფეროს სრული გამიჯნვა ვერ მოხდება, მაგრამ მეორეს მხრივ, უნდა გამოირიცხოს პირდაპირი ჩარევები, კერძოდ, ის რომ ხელისუფლება პირდაპირ ერეოდეს საპატრიარქოს ცხოვრებაში და მის გზას განსაზღვრავდეს. საქართველოში შეიძლება, პატრიარქის ზოგიერთი გამონათქვამი ვილაცისთვის მიუღებელი იყოს, ვილაცისთვის - მისაღები. იგივე თეა თუთბერიძის ვიდეორგოლების ამბისა და ამ ჯგუფის გამწარების მიზეზი პატრიარქის გამონათქვამები იყო იმის თაობაზე, რომ რუსეთთან ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო და როდესაც გემს კაპიტანი ჰყავს, ამ კაპიტანმა უნდა იცოდეს, რომ ხომალდი კლდეებს კი არ უნდა მიაჯახოს, არამედ რიფებს შორის გასასვლელი მოძებნოს. პირადად ჩემთვის ის, რომ კლდეს თავით არ უნდა ეჯახებოდე, აბსოლუტურად სწორი შეხედულებაა და არა მხოლოდ ზოგადად, არამედ ამ კონკრეტულ კონტექსტშიც. მიმაჩნია, რომ რუსეთთან ომის თავიდან აცილება მართლაც შესაძლებელი იყო და პატრიარქის შეხედულებას აბსოლუტურად ვიზიარებ. ეს ადამიანები სწორედ ამან გააწიწმატა და სასწრაფოდ დაიწყეს ამაში აგენტობის და რუსული კვალის ძებნა, რაც ჩემთვის პირადად მიუღებელია.

**— გასულ კვირას კვლავ აქტუალური გახდა საუბრები იმაზე, რომ თქვენ საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატის გადახედვას ითხოვდით...**

— ტყუილია! — ეს არის ის, რასაც ხათუნა გოგორიშვილი ამბობს ხოლმე, მე კი მსგავსი არაფერი მომითხოვია!

იხ. 5 გვ.

◉ არის ასეთი აზრიც!

# დავით აღმაშენებელი თავქარიანთა და ჟღალწვერიანთა ეპოქაში

## ღია წერილი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს

ბატონო ჭაბუა,

ჩვენო უდიდესო და უსაყვარლესო მწერალო. მე განებივრებული ვიყავი თქვენთან მეგობრობით, თქვენი სიყვარულითა და პატივისცემით. დიდი ხანია, რაც ერთმანეთს არ შევხმიანებივართ. ჩემი ბრალია, რა თქმა უნდა, რის გამოც ძალიან დიდ ბოდიშს გიხდით...

აგერ, ახლა, თქვენთან ინტერვიუს ვკითხულობ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. ამ პატარა ინტერვიუშიც კი იგრძნობა ჭეშმარიტად დიდი კალმოსნის მოქნილი ფრაზა, მოქნილი სიტყვა. მართალი გითხრათ, გაჭირდა გაზეთების კითხვა. პრესა ინფორმაციულობით, საერთოდ, ვერ დაიკვეხნის, ანალიზი არ ჩანს, ოთხმოცდაათი პროცენტი იქიდან, რაც ჩვენს პრესაში იწერება, სიცრუე, ჭორაობა, ერთმანეთის ლანძღვა და დიდი სისულელეა. რა უნდა წაიკითხო ამგვარ პრესაში, მაგრამ გაზეთის ფურცლებზე ჭაბუა ამირეჯიბი რომ გამოჩნდება, გაგიხარდება, ბუნებრივია. ვის შეეპარება ეჭვი, რომ „დათა თუთაშხიას“ ბრძენი ავტორი პეპელასავით მხოლოდ დღევანდელი დღით მცხოვრებ საზოგადოებას, თავისი სიტყვით, ხვალინდელი დღისკენ გაახედებს, რასაც ვერ ხვდება, იმას მიახვედრებს და, გონიერი აზრით, მომავლისკენ სავალ გზას გაუნათებს.

სულმოუთქმელად წავიკითხე ინტერვიუ და გაოგნებული დავრჩი. ორმა საკითხმა გამაოცა: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე მსჯელობამ და დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიასთან თქვენმა დამოკიდებულებამ...

თქვენ ბრძანებთ: „უნდა გამოჩნდეს პოლიტიკური ძალა, ვინც შეძლებს განმარტოს და გაუთავისოს ქართველ ერს რუსული ბარბაროსობის ფესვთა არსი, შეაგნებინოს მოსალოდნელი საშიშროება და ბრძოლის წყურვილი გაუჩინოს ყველა ისეთი მოვლენისა თუ ღონისძიების წინააღმდეგ, რაც რუსეთის დაპყრობის ხალისს უმძაფრებს“. ბოდიშს გიხდით, მაგრამ „რუსული ბარბაროსობის ფესვთა არსი“, ცოტა გადამეტებული ხომ არ არის, ბატონო ჭაბუა? გენიალური მწერალი კი არა, ჟღალწვერიანი იაკობაშვილი რომ გვყავს მთავრობაში, ისიც კი არ მისცემდა თავს უფლებას, ასე ერთბაშად და ხელაღებით ეწოდებინა ბარბაროსები ტოლსტოის, დოსტოევსკის, პუშკინის, ლერმონტოვის, ჩეხოვის, შოლოხოვისა და სოლჟენიცინის ქვეყნისთვის, ჩაიკოვსკისა და რახმანინოვის ქვეყნისთვის; ან ისეთ წმინდანთა ქვეყნისთვის, როგორებიც იყვნენ სერაფიმ საროველი და სერგეი როდონეჟსკი. თუმცა დავანებოთ ამას თავი, რუსები თვითონ უადვოკატებენ თავს, მაგრამ ჩემ მიერ ზემოთ მოხსენიებული თქვენი წინადადების იმ ნაწილში, ბრძოლის წყურვილზე რომ ბრძანებთ, მომკალით და, ვერ დაგეთანხმებით. ბატონო ჭაბუა, მაგ ბრძოლის წყურვილს ჭკუის დატანებაც უნდა, თორემ, ხომ ხედავთ, რაც დაგვემართა, — აფხაზეთში ოცდაათი ათასი ახალგაზრდა ჩავაწვინეთ მიწაში, ცხინვალში ამდენი არა, მაგრამ თუნდაც ერთი სიცოცხლე რატომ უნდა დაილუპოს უაზროდ?! ყოველივე ამის შემდეგ აფხაზეთიც დავკარგეთ და ე.წ. სამხრეთ ოსეთიც. ბრძოლის წყურვილი გვქონდა, მაგრამ ბრძოლას რომ ჭკუა უნდა, ის ჭკუა არ აღმოგვაჩნდა და, საუბედუროდ, არც ის ჭკუა გამოგვაჩნდა, ბრძოლას და ომს რომ აარიდებს ქვეყანას. რატომღაც მეგონა, თქვენ ბრძოლისკენ კი არა, გონიერებისკენ მოუწოდებდით ერს თუნდაც იმის გამო, რომ დღეს ჩვენს ერს სწორედ გონიერება აკლია კატასტროფულად. ამის დასტურია დაშლილი და იავარქმნილი საქართველო.

ვინც თქვენი ბიოგრაფია იცის, ადვილად მიხვდება, რუსეთისადმი თქვენი დამოკიდებულების ფსიქოლოგიურ საფუძველს, მაგრამ ძნელად მისახვედრი ისაა, ადამიანის სულის ისეთი სიღრმეების მცოდნე გენიალური მწერალი, როგორიც თქვენ ბრძანდებით, საკუთარ წყენაზე მაღლა როგორ ვერ დადექით, მაშინ, როდესაც ქვეყნის მომავალზეა საუბარი?! თქვენ ბრძანებთ: „ერთი მიზნის გარშემო შეკრულ ერს რუსი თუ მოერია კიდეც, ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იქნება, რადგან ეროვნული წინააღმდეგობებით ცეცხლმოკიდებულ მიწაზე დიდხანს ვერავინ შეყოვნებულა და ასე იქნება საქართველოშიც“. „ეროვნული წინააღმდეგობებით ცეცხლმოკიდებულმა მიწამ“ ყოფილი იუგოსლავია და მართლმადიდებელი სერბეთი გამახსენა, ავღანეთი და ერაყი გამახსენა. გავიმეტოთ საქართველო ისეთი უთანასწორო ომისა და წინააღმდეგობისათვის, რომ მიწა ცეცხლში იწვოდეს, ბატონო ჭაბუა? ლაჩრობა ჩემთვისაც მიუღებელია, მაგრამ თქვენს ინტერვიუში, ვიდრე „ეროვნული წინააღმდეგობებით ცეცხლმოკიდებულ მიწამდე“ მიხვიდოდით, პრობლემის პოლიტიკური მეთოდებით გადაჭრაზე, რუსულ-ქართული ურთიერთობების დიპლომატიური გზებით ჰარმონიზებაზე, საერთო ინტერესების გამონახვაზე გეთქვათ ორიოდე სიტყვა და, თუ დაგვარწმუნებდით, რომ ეს მეთოდები ყოვლად უვარგისია და ჩვენს ფეხქვეშ მხოლოდ მიწა უნდა იწვოდეს, არაკაცი და შერცხვენილი იყოს, ვინც უკან დაიხიოს, მაგრამ რომ დაიწვას და გამოგვეცალოს ფეხქვეშ მთელი ქართული მიწა, როგორც აფხაზეთი და სამაჩაბლო გამოგვეცალა, რა ვქნათ და როგორ მოვიქცეთ მაშინ, ბატონო ჭაბუა?! აი, ამ კითხვამ შემაწუხა თქვენთან ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ და ამის გამო გაკადრეთ მორიდებული საყვედური. ნუ დამძრახავთ ამის გამო, ეს, სხვა რომ არაფერი, ჩემი პროფესიული მოვალეობაა.

ერთი შეკითხვაც მაქვს: რომელ პოლიტიკურ ძალას ელოდებით, ქართველ ერს „რუსული ბარბაროსობის ფესვთა არსი“ რომ განუმარტოს? ამგვარი განმარტებისთვის ილვწოდა ზვიად გამსახურდია, მაგრამ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, თქვენ მის მხარდამჭერთა შორის არ ბრძანდებოდით, შევარდნაძეს კი დაუდექით გვერდით, მაგრამ რა, მერე? დსთში შესვლას შევარდნაძესთან ერთად თქვენც და მეც მოვაწერეთ ხელი. რუსეთთან მეგობრობის სუ-



რვილისა და საჭიროების გამო გადავდგით ის ნაბიჯი და თუკი იცოდით, რომ რუსეთთან ბრძოლის გარდა, სხვა არანაირი ფორმა ურთიერთობისა არ უნდა არსებობდეს, მაშინ შეცდომა გამოდის თქვენი ის ნაბიჯი. რუსეთთან ბრძოლისკენ სააკაშვილიც ექაჩება ქვეყანას და ჩემთვის პირადად სრულიად გაუგებარია ამ თავქარიანი ახალგაზრდა კაცის შეხედულებები (ჟღალწვერიან იაკობაშვილზე რომ არაფერი ვთქვაძ როგორ დაემთხვა ასე ზუსტად გენიალური მწერლის შეხედულებებს.

გულსატკენად არ გეუბნებით, ბატონო ჭაბუა, მაგრამ არანაკლებ გამაოცა თქვენმა დამოკიდებულებამ დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის მიმართ. პრემიის დამფუძნებელ ალექსანდრე ებრალიძეს ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიუღია, თუკი, როგორც თქვენ ბრძანებთ, პრემიას უკონკურსოდ განიჭებდათ, იმიტომ რომ თქვენთან კონკურსის გამძლები მწერალი კარგა ხანია საქართველოს არ ჰყოლია და შეიძლება კიდევ დიდხანს არ ეყოლოს. ამიტომ, თქვენ სწორედ რომ უკონკურსოდ გეკუთვნით, რაც საქართველოში პრემია აქამდე დაწესებულა ან მომავალში დაწესდება, მაგრამ რაღაც ვერ გავიგე, — რაო, რის გამო თქვით უარი პრემიის მიღებაზე? — „ბინაზეც რომ მომართვან, არ მივიღებ, სალანძღავად არ წავაქეზებ შარისა და საყვედურის მოყვარულებსო“ — ბრძანებთ. შარის მოყვარულებმა როგორ შეგაშინათ-მეთქი, არ გაკადრებთ, მაგრამ სხვა რითი ავხსნა ეს თქვენი პოზიცია, რომ არ ვიცი? მე მესმის იმ ადამიანებისა, ვინც თავიდან ერთმანეთს ასწრებდნენ თავიანთი ნაწარმოებების საკონკურსოდ წარდგენას, მაგრამ ხელისუფლების ერთ დაცაცხანებაზე ასევე ერთმანეთს ასწრებენ თავიანთი ნაწარმოებების უკან გატანას. მესმის იმიტომ, რომ მათ ჩვეულებრივ მოკვდავებად განვიხილავ, რომლებსაც გმირობას ვერ მოთხოვ. შარის მოყვარულებში, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას გულისხმობთ, მაგრამ თქვენ, ეპოქალური მწერალი, თავქარიანი სააკაშვილისა და ჟღალწვერიანი იაკობაშვილის მხრიდან მოსალოდნელ შარს რანაირად გაექეცით, მართალი გითხრათ, მიკვირს ძალიან.

ალექსანდრე ებრალიძეს სცოდნია თქვენი ფასი. თქვენც რომ ოდნავ დაგეფასებინათ საქართველოს გარეთ მოღვაწე პიროვნება, ვინც დაშლილ-დაქუცმაცებულ საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისა და ეკონომიკური აღორძინებისთვის ილვწის და გაბედულ ნაბიჯებსაც დგამს, ეს, ალბათ, გაცილებით სწორი იქნებოდა, რადგან მოულოდნელიცაა და ცოტათი უხერხულიც, ერის ცოცხალი კლასიკოსის მსჯელობა და მიდგომები ოდნავადაც არ განსხვავდებოდეს ზომბირებული მასის მსჯელობისა და მიდგომებისაგან.

როგორც ჩანს, მართლაც სერიოზულმა სენმა დაგვრია ხელი და არავინ იცის, რა არის ან სად არის წამალი ამ სენისა.

უდიდესი სურვილი მაქვს გესაუბროთ, როგორც ადრე გვისაუბრია ხოლმე, მაგრამ ამ სურვილს თქვენი გენიალური ნაწარმოების ხელახლა კითხვითღა ვიკმაყოფილებ.

**სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით, თქვენს ნახვას მონატრებული უმცროსი მეგობარი**

**ვალერი კვარაცხელია**

◉ პატრიარქის ინიციატივა

# მეათე საყოველთაო ნათლობა სამებაში

**სამების საპატრიარქო ტაძარში ნათლობის წმინდა საიდუმლო კიდევ ერთხელ აღსრულდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 500-მდე ბავშვი მონათლა. ტაძარი პატარებით კიდევ ერთხელ შეივსო. გალობას მათი ტირილი ერწყმოდა.**

„ნათლობის საიდუმლო პიროვნებაზე ერთხელ აღესრულება. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა“, — აღნიშნულია სარწმუნოების სიმბოლოში.

ნინოობის, 27 იანვრის საყოველთაო ნათლობა რიგით მეათე იყო. უწმინდესისა და უნეტარესის მიერ მოზარდების საყოველთაო ნათლობის ტრადიციას საფუძველი ორი წლის წინათ ჩაეყარა. პირველი ნათლობა 2008 წლის 19 იანვარს — ნათლისღების დღესასწაულზე შედგა.



„დიდი სურვილი გვქონდა, პატრიარქი ჩვენი ოჯახის ნათლია გამხდარიყო, ამიტომ გადავწყვიტეთ, მესამე შვილიც გაგვეჩინა და მადლობა უფალს, ალექსანდრე შეგვეძინა. ძალიან ბედნიერი ვართ, დღეიდან პატრიარქი ჩვენი ოჯახის ნათესავია“, — გვითხრა თვალებგაბრწყინებულმა მშობელმა.

პატრიარქის ნათლულების რიცხვი 4800-მდე გაიზარდა. პატარების ნათლიებს განსაკუთრებით უხაროდათ და ნათლობის საპატიო მოვალეობას ქართველთა სულიერ მამასთან ერთად იზიარებდნენ.

„უწმინდესთან ერთად მეც მერგო პატივი და პატარა დავითი მოვნათლეთ, დიდებული დღეა, კიდევ მრავალი ქრისტიანი მხედარი შეემატა ქრისტიანთა დასს... რაც მთავარია, ოჯახის ნათლია პატრიარქი გახდა. მადლობა ღმერთს, მრავლდებიან უწმინდესის ნათლულები საქართველოში“, — აღნიშნა არქიმანდრიტმა იერიმელემ.

პატრიარქის ამ ინიციატივას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, სამოქალაქო ქორწინებისა და ჯვრისწერის რიცხვის ზრდაც მოჰყვა. პატრიარქის ნათლულების მსურველთა რეგისტრაციისთვის საჭირო იყო, მშობლების ჯვრისწერისა და ბავშვების ნათლობის მოწმობებთან ერთად, ქორწინების მოწმობის წარდგენაც, რამაც ქორწინების დაკანონება გამოიწვია.

ნათლობის წმინდა საიდუმლოს შესრულების შემდეგ პატრიარქმა ნათლულები დალოცა: „ეს ბავშვები ღვთის განგებით დაიბადნენ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორი უნდა იყოს პატრიარქის ნათლული. უპირველესად მივმართავ მშობლებს, ეკლესიურად აღზარდონ შვილები. ესენი უნდა იყვნენ თავდადებული ქრისტიანები, მოსიყვარულენი, კეთილისმყოფელნი და, ამასთან ერთად, ჩემი ნათლულები უნდა იყვნენ ძლიერნი სულითა, რომ დაუდგნენ ყოველგვარ სიძნელეს. „როგორც უფალი სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“... სამშობლოსთვის თავდადება უნდა ახასიათებდეს ჩემს სულიერ შვილებს. მინდა, რომ ჩემი ნათლულები განათლებულები იყვნენ“... — აღნიშნა ილია II-მ.

**თინათინ ბორცვაძე**

◉ ლეიბორისტები

***„ლეიბორისტული პარტიის“ საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ ბრიფინგი გამართა ხელისუფლების მიერ დადგენილ ახალ კანონთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც მევალის ქონება უსწრაფეს ვადაში იყიდება აუქციონზე, ბანკის ვერდიქტით და ყოველგვარი აპელაციების გარეშე. პარტია მოითხოვს, შეჩერდეს სადამსჯელო სანქციები ვალებში ჩავარდნილი ადამიანების მიმართ, გაუქმდეს ყველა ნორმატიული აქტი, რომელიც აკანონებს საბანკო გენოციდს და მოვალეებს გადაუვადდეთ აღებული სესხის გადახდა.***

# „პროცენტიანი სახრჩობელა...“ ყველას გვემუქრება

— შეგახსენებთ, რომ სულ რამდენიმე ხნის წინათ, საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შექმნა ე. წ. მევალეთა რეესტრი, რომლის რეგულაციაც ითვალისწინებს ბანკის დავალიანების მქონე პირის ქონების უსწრაფეს ვადაში აუქციონის წესით გაყიდვას და მომდევნო 10 წლის განმავლობაში შეძენილი ქონების დაყადაღებას, — განაცხადა ნესტან კირთაძემ.

მისივე თქმით, საქართველოს მოსახლეობის ნახევარ მილიონზე მეტ მოქალაქეს უსახლკარობა, ულუკმაპურობა, შიმშილით სიკვდილი და უცხოეთის გზებზე გადევნა ემუქრება და, ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად, ისინი დაზარალებულ მოქალაქეებს შედეგის მიღწევამდე მხარში დადგომას პირდებიან.

ნესტან კირთაძემ მოუწოდა მედიის წარმომადგენლებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ საკითხს, რადგან ეს არის პრობლემა, რომელიც შეიძლება თითოეულ ჩვენგანს შეეხოს. ის მოითხოვს კონსულტაციებს მიხეილ სააკაშვილთან, რათა ეს საკითხი მოქალაქეების საკეთილდღეოდ გადაწყდეს.

ძნელია იმის თქმა, იქნება თუ არა ნუგეში კონსულტაციები 300000-ზე მეტი ვადაგადაცილებული მსესხებლისთვის, ექნებათ თუ არა უკეთესი ცვლილებების იმედი, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ხელისუფლებამ სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს კიდევ ერთი „საახალწლო საჩუქარი“ მიართვა.

**თაკო შაიშმელაშვილი**

განსჯა

(მესამე გვერდიდან)

# საჭირო ცვლილებები ეკლესიის შიგნით უნდა ხორციელდებოდეს და არა „თავისუფლების ინსტიტუტის“ კარნახით

მე ძალიან მარტივ რამეს ვამბობ: საქართველოში უამრავი რელიგიაა და ქვეყნის კონსტიტუციით თანასწორობის პრინციპი ნებისმიერი ადამიანისთვის, სქესის, რელიგიის, ეთნიკურობის მიუხედავად უნდა იყოს უზრუნველყოფილი. შესაბამისად, ყველა რელიგია რაღაც ნაწილებში თანაბარი უნდა იყოს. მაგალითად, როდესაც კონკორდატი ამბობს, რომ დავუშვათ, მართლმადიდებელი სასულიერო პირი ჯარში არ მიდის, ეს სხვებზე უნდა გავრცელდეს. თვით საბერძნეთშიც კი, სადაც, საქართველოსგან განსხვავებით, მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად არის გამოცხადებული, ეს პრინციპი დაცულია: ჯარში არც მართლმადიდებელი სასულიერო პირი მიდის, არც კათოლიკე და არც მოლა. თუმცა არის სხვა მიმართულებებიც, სადაც სახელმწიფოს შესაძლოა, ქვეყნის წამყვან რელიგიას გარკვეული უპირატესობები მიანიჭოს. მაგალითად, გერმანიაში ოთხი ეკლესიაა, რომლებსაც მორწმუნეები გარკვეულ გადასახადებს უხდიან, სხვას კი - არა. საქართველოში კონკორდატი ამბობს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ქონება, უფრო სწორად, ქონების ნაწილი, რომელიც მას ისტორიულად ეკუთვნოდა, უნდა დაუბრუნდეს. ეს აბსოლუტურად მისაღებია. ასევე კარგად მესმის, რომ სახელმწიფო ამას ყველა რელიგიის მიმართ ვერ გაატარებს, იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია. მართლმადიდებლობის გამოყოფა, მისი ისტორიული დამსახურებისა და როლის გამო აბსოლუტურად გასაგებია. სხვათა შორის, ჩემს მოხსენებებში საქართველოს ხელისუფლებას პირიქით, იმის გამო ვაკრიტიკებდი, რომ ის კონკორდატის ამ მოთხოვნას არ ასრულებს და არაფერს აკეთებს, რათა ეს პროცესი ბოლომდე მიიყვანოს. ამავდროულად საქართველოს სახელმწიფოს კონკორდატით აღებული აქვს ვალდებულება, ყველაფერი იღონოს, რათა მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნდეს ის ქონება, ის ეკლესია-მონასტრები, რომლებიც უცხოეთში იყო. ამისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და ზოგადად მთავრობა ნაბიჯს არ გადაუდგამს. მე ხელისუფლებას ამის გამოც ვაკრიტიკებდი. როდესაც ქონების დაბრუნებაზე ვლაპარაკობთ, აქ ერთი მტკივნეული საკითხია, რომელიც არა სხვა ქონებას, არამედ სალოცავებს შეეხება. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიდგომა თანაბარი უნდა იყოს. თუ ლაპარაკია მიწის ან სხვა შენობის, მაგალითად, ყოფილი სასწავლებლის დაბრუნებაზე, ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, სახელმწიფოს უფლება აქვს, ერთი ეკლესია გამოყოს და თქვას, რომ ამას ვუბრუნებ, მაგრამ ყველას ვერ დავუბრუნებ. მაგრამ როცა ლაპარაკია სამლოცველოს (იქნება ეს მეჩეთი, სინაგოგა, თუ სხვაძ) დაბრუნებაზე, აქ თანაბარი პრინციპი უნდა იყოს გამოყენებული. არ შეიძლება, თქვა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას ყველაფერს უბრუნებ, სინაგოგას კი — არა და იმ სინაგოგაში თეატრი ან წიგნსაცავი დარჩება. სხვათა შორის, მე ძალიან სერიოზულად ვიყავი ჩართული საქმეში, რომ ებრაული სათემო-სასინაგოგო ერთი სინაგოგა დაებრუნებინათ, რომელიც თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარეობს. ასეც მოხდა და რამდენიმე თვის წინათ ბატონი პრეზიდენტი და ქალაქის მერი დაესწრნენ ცერემონიალს ამ სინაგოგის გახსნისას. ეს პრინციპი გასატარებელია სომხური ეკლესიების მიმართაც. ქვეყნის ეკლესია, რომელთა უკან დაბრუნებას სომხური ეკლესია დღესაც აქტიურად ითხოვს. ამაზე პარლამენტში ყვირილი ატეხეს, თითქოს ვიღაც მეცნიერს დაუწერია, რომ სომხურ ეკლესიას საქართველოში 600 შენობა ჰქონდა, მე კი თურმე, ამ 600 შენობის სომხური ეკლესიისთვის დაბრუნებას ვითხოვდი. თუ ვიღაც მეცნიერმა რაღაც დაწერა, მე რა ვიცი?! არც წიგნი მინახავს, არც შემისწავლია და საერთოდ, არ ვიცი, რაზეა ლაპარაკი. მე ვსაუბრობდი ექვს შენობაზე და ეს ძალიან მკაფიოდ და გასაგებად დავწერე. თუ ვიცით, რომ ამ ექვსიდან რამდენიმე ნამდვილად სომხური ეკლესიის კუთვნილებაა, სახელმწიფომ კეთილი უნდა ინებოს და დაუბრუნოს. რატომ უნდა იყოს ეკლესია კულტურის ან ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე? ხოლო თუ რომელიმე საკამათოა, შევქმნათ კომისია, რომელშიც მეცნიერები, უნივერსიტეტის წარმომადგენლები, აქრიტექტორები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები, სომხური ეკლესიის წარმომადგენლები შევლენ, წყაროები შეაჯერონ და გამოჩნდება. სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა, შედეგი კი ის იყო, რომ ამ ორიოდე თვის წინათ ერთ-ერთი ასეთი ეკლესია სოლოლაკში დაინგრა. რა არის უკეთესი: კულტურის ძეგლი დაინგრეს, თუ მის მფლობელს დაუბრუნდეს და ჩვენმა თანამოქალაქე სომხებმა, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ, იმ ეკლესიაში იარონ და ილოცონ?!

**— და ახლა, ზემოთ ხსენებული პრობლემების გათვალისწინებით, შექმნილი სიტუაციიდან რა გამოსავალს ხედავთ? საჭიროა თუ არა რაიმე ცვლილებების განხორციელება კონკორდატში, ან თუნდაც რაიმე ახალი დოკუმენტის მიღება, რომელიც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობებს დაარეგულირებდა?**

— არა, არ ვიცი, ასეთი რა დოკუმენტი უნდა შეიქმნას. საკუთარი აზრის გამოხატვას ვერავის დაუშლი. ვილაცისთვის ეს მისაღებია, ვილაცისთვის - მიუღებელი. პირადად ჩემთვის ამ ფორმით აზრის გამოხატვა აბსოლუტურად მიუღებელია. ადამიანებს უფლება აქვთ, საერთოდ ურწმუნოები და ათეისტები იყვნენ, ხმამაღლა იძახდნენ, რომ ღმერთი არ არსებობს, - ამას ვერ დაუშლი, უზრდელი ეს შეურაცხყოფასა და უხამსობაში არ უნდა გადაიზარდოს. შეიძლება, ვილაცამ თქვას, თქვენ იცით, რომის პაპზე ან კენტერბერიის მთავარ ეპისკოპოსზე რა იწერება ან რა რგოლები კეთდება?!". ეს ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ძალიან ბევრჯერ აქვს ნათქვამი, რომ უხამსობა და საზოგადოებრივი მორალი სხვადასხვა შეიძლება, იყოს არა მარტო სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ ერთი ქვეყნის შიგნითაც. მაგალითად, წიგნი ბავშვებისთვის, რომელშიც აღწერილი იყო, რა არის მასტურბაცია, რა არის სექსი და ა.შ., ინგლისის სასამართლომ აკრძალა, მაგრამ იგივე წიგნი უელსში, შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში თავისუფლად ვრცელდებოდა, აღარაფერს ვამბობ ევროპის სხვა ქვეყნებზე. ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილება წიგნის ავტორმა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში გაასაჩივრა მოტივით, „რატომ მაინცდამაინც ინგლისმა აკრძალა, მაშინ, როდესაც იმავე სახელმწიფოს გაერთიანებული სამეფოს შიგნით ის ვრცელდება?“. ეს აკრძალვა ლორდთა პალატის მიერ დაწესდა, რომელიც ინგლისში ბოლო ინსტანციაა. ევროპის სასამართლომ თქვა, რომ „საზოგადოებრივი მორალი შეიძლება, აბსოლუტურად განსხვავებული იყოს არა მარტო სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ თვით ერთი ქვეყნის შიგნითაც კი და რომ ინგლისის სასამართლომ უკეთ იცის, როგორია მორალი ინგლისში და დაადგინა, რომ აკრძალვა იყო სწორი“. ისევე, როგორც აშშ-ის უზენაეს სასამართლოს აქვს განსაზღვრული, რომ საზოგადოებრივი მორალი ნიუ-იორკში და რომელიმე კონსერვატიულ შტატში, ვთქვათ, იუტაში, აბსოლუტურად სხვადასხვა შეიძლება, იყოს. ამიტომ ყველას ერთი პრინციპით არ შეიძლება, მივუდგეთ და რადგან ქართულმა საზოგადოებამ ჩათვალა, რომ ის ვიდეორგოლები უხამსობაა, ე.ი., ასეც იყო და პირადადაც ასე მიმაჩნია.

**— და საქართველოს კანონმდებლობა რას ამბობს ასეთ შემთხვევაში?**

— საქართველოს კანონმდებლობით უხამსობა არ არის დაცული გამოხატვის თავისუფლებით. ადრე ცილისწამებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საკითხის დაყენება შეიძლებოდა, თუკი ცილისწამება დანაშაულის დაბრალებას ითვალისწინებდა. ახლა ეს წესი შეიცვალა, რაც სავსებით სწორია. მოხდა ცილისწამების დეკრიმინალიზაცია. ტერმინ „უხამსობასთან“ დაკავშირებით მხოლოდ ის წერია, რომ ის კანონით არ არის დაცული, მაგრამ რა სანქცია შეიძლება, დაწესდეს, განსაზღვრული არაა, ამდენად ერთადერთი ბერკეტი, სამოქალაქო სასამართლოში იჩივლო. იმედიად, რამდენადაც, ბუნებრივია, პატრიარქი სასამართლოში არ წავა და არ იჩივლებს, იმ ადამიანებს, რომლებიც ამას ავრცელებენ, ხელ-ფეხი აქვთ გახსნილი, მაგრამ მეორეს მხრივ, სწორედ იმის გამო, რომ სახელმწიფო ვერ ერევა და პატრიარქი არ იჩივლებს, ბუნებრივია, რომ საზოგადოებას ძალიან მძაფრი რეაქცია აქვს და ეს უამრავ წერილში, საპროტესტო აქციასა და შეკრებაში გამოიხატა. რაღაცამ ხომ უნდა დაარეგულიროს ეს საკითხები?! — ამ შემთხვევაში ასეთი რეგულაცია საზოგადოების რეაქცია იყო. არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცამ ეს პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა, ვიღაც კი გულით აღშფოთდა. რას ვიზამთ, საზოგადოება ასეთია, მაგრამ მთლიანობაში ეს ბუნებრივი და ჯანსაღი რეაქცია იყო. მხოლოდ ამ სიჯანსაღეში, ცხადია, არ ვგულისხმობ მუქარებს, რომელიც თეა თუთბერიძემ მიიღო. მუქარა დაუშვებელია და მისი ავტორი ისჯება. ჯანსაღ რეაქციაში ასევე არ ვგულისხმობ სახელმწიფოს ჩარევას, კერძოდ, იმას, რომ ადამიანები პროკურატურაში დაიბარეს და მათი უფლებები დაირღვა.

**— ეკლესიასთან დაპირისპირების რეალურ მიზეზებს რაში ხედავთ? ხომ არარეალურია, ეს პატრიარქის ერთ განცხადებას გამოეწვია?**

— რეალური მიზეზი ამ ყველაფრის მიღმაა, მაგრამ ამ ყველაფერს მსჭვალავს. საქართველოს ეკლესიას, პატრიარქს ძალიან მაღალი ავტორიტეტი და ძალიან დიდი გავლენა აქვს. იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლების მიმართ ნდობა და ავტორიტეტი ყოველდღიურად ეცემა, ცხადია, რომ მმართველ ძალას ეშინია და საფრთხეს ხედავს მასზე გაცილებით დიდ ავტორიტეტში, ამიტომ მის დისკრედიტაციას ცდილობს. ის თავის ავტორიტეტს ვერ ამაღლებს და ამ გავლენიანი ინსტიტუტის დისკრედიტაციის მეთოდს მიმართავს.

**— ეს კამპანია შეიძლება, კიდევ გაგრძელდეს და უფრო მასშტაბური ხასიათიც მიიღოს. თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?**

— არა მგონია, მან უფრო მასშტაბური სახე მიიღოს. ყველაფერს აქვს პიკი, რომლის შემდეგაც იწყება დაღმასვლა. მსგავსი კამპანიები საბოლოოდ იმ ადამიანების წინააღმდეგ მუშაობს, ვინც მათ მართავს. პატრიარქმაც მრევლს სიმშვიდისკენ მოუწოდა და სთხოვა, ყურადღება არ მიაქციონ ამას. სხვა რა უნდა ექნა?! ეს არის ერთადერთი სწორი პოზიცია ამ შემთხვევაში.

**— თვითონ ქართული საზოგადოება რამდენად არის მზად რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების უმტკივნეულო ანალიზისთვის და მის საფუძველზე პრობლემების უმტკივნეულოდ მოგვარებისთვის?**

— რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს ძალიან მტკივნეულად აღვიქვამთ და ეს ბუნებრივია. ყველა უფლება თანაბარია და როგორც უფლებადამცველი, ამას უნდა ვაღიარებდე, მაგრამ პირადად ჩემთვის ორი განსაკუთრებული უფლებაა — გამოხატვის თავისუფლება და რელიგია. რელიგიაზე ძვირფასი და შინაგანი ადამიანისთვის არაფერია. ყოველთვის მომყავს 100 000 თბილისელი მოწამის მაგალითი. წარმოგიდგენიათ სხვა რომელიმე ღირებულება, რომლისთვისაც 100 000 ადამიანი თავს გასწირავდა?! ევროპის თუ აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიებსაც რომ გადავხედოთ, ადამიანები რელიგიისთვის კვდებოდნენ. მაგალითად, ჰუგენოტები, პროტესტანტები, კათოლიკეები, შაოლინის ბერები... ახლა ამას რომ ეხები, ბუნებრივია, რეაქცია ყოველთვის ძალიან მძაფრია. ეს ისეთი საკითხებია, რომელთა მიმართ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან ის, რაც ჩვენი აზრით, არ არის შეურაცხმყოფელი, შეიძლება, სხვისთვის შეურაცხმყოფელი იყოს და პირიქით. ბოლო დროს დასავლეთში ადამიანის უფლებათა სამართალში ახალი ტერმინიც კი შემოვიდა — რელიგიური შეურაცხყოფა, ის ცალკე ფენომენად გაჩნდა და დადგინდა, რომ რელიგიური შეურაცხყოფა დაუშვებელია. ეს მუჰამედის კარიკატურებთან დაკავშირებულმა გახმაურებულმა სკანდალმა გამოიწვია. დაუშვებელია, მუჰამედის კარიკატურის საკითხს გულგრილად მივუდგეთ და ვთქვათ, მერე რა მოხდაო, რადგან ჩვენთანაც ხომ შეიძლება, დაიბეჭდოს წმინდა პეტრეს კარიკატურა, რომელსაც ხელში სამოთხის გასაღები უჭირავს?! მეორეს მხრივ, შეიძლება, სხვამ ვერ გაიგოს, რატომ გამოიწვია ასეთი რეაქცია პატრიარქზე გავრცელებულმა ვიდეორგოლებმა, რადგან მსგავსი რამ რომის პაპის მიმართ არაერთხელ გაკეთებულა...

იხ. 7 გვ.

რეფორმა

# შეუქცევადი რომ გახდეს

**ხელისუფლების პრინციპულად ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, უწინარესად ეკონომიკის ლიბერალიზებას ეხება. უმაღლესი რანგის ჩინოსნების განცხადებით, მთავრობა უკვე კარგა ხანია მუშაობს ახალ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებსაც, როგორც ირწმუნებიან, შეუქცევადი ხასიათი ექნება.**

ბოლო დროს ქვეყანაში გარკვეული ეკონომიკური აქტივობა შეინიშნება, ინვესტორებმაც თანდათან თითქოს კვლავ დაიწყეს სახსრების დაბანდება, ამდენად რეფორმები, რომლებსაც, როგორც ჩანს, საკანონმდებლო ფორმა ექნება, მათთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა. ამჟამად საკანონმდებლო ცვლილებები, ფაქტობრივად, ყველა დონეზე განიხილება, ხოლო პარლამენტი მათ თაობაზე საგაზაფხულო-საზაფხულო სესიაზე იმსჯელებს.

თუმცა ამთავითვე ცნობილია, რომ ეკონომიკის სტიმულირების ახალი საკანონმდებლო პაკეტი მეწარმეებს, ზოგადად საქმის ხალხს მეტ გარანტიებსა და ეკონომიკის განსავითარებლად მეტ თავისუფლებას მისცემს, რამაც, წესითა და რიგით, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ **ეკონომიკურ ცვლილებათა ახალი გეგმის მიხედვით, მისი არსი გადასახადების ლიბერალიზება უნდა გახდეს.** ამასთან, ეკონომიკის ექსპერტებში ამ მხრივ აზრის სხვადასხვაობაა: ზოგს მიაჩნია, რომ რეფორმები ეკონომიკის სტიმულირებისა და საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად აშკარად არასაკმარისია, ზოგის აზრით კი გადასახადები საქართველოში საკმაოდ ლიბერალურია. ამდენად მიიჩნევენ, რომ უახლოეს ხანში მხოლოდ ერთი რამ არის უპირველესად გასაკეთებელი — ესაა **საშემოსავლო გადასახადის 20 პროცენტიდან 15-მდე შემცირება.** რატომ, მაინცდამაინც საშემოსავლო გადასახადისაო, იკითხავთ. რატომ და, ეკონომისტების, ფინანსისტებისა და ეკონომიკის **სხვა პროფილების სპეციალისტთა ერთი საკმაოდ გავლენიანი ჯგუფის აზრით, სხვა სახეობის გადასახადების შემცირება, ანდა, სულაც, მათი გაუქმება, ბიუჯეტს დეფიციტურს გახდის, რის შედეგად ბევრი საბიუჯეტო ვალდებულება ფაქტობრივად უსახსრობის გამო, ვერ დაფინანსდება. მათი აზრით, გაცილებით უფრო მეტად რთულადაა გადასახადების ადმინისტრირების პრობლემა.** საგადასახადო კოდექსის ზოგიერთი ბუნდოვანი და „თავისუფალი ინტერპრეტირებისთვის“ ფართო ასპარეზის მიმცემი დებულების შესახებ „სრ“ უკვე წერდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ასეთი დებულებები საკმაოდაა, რაც სამეწარმეო საქმიანობას ხელს აშკარად ვერ უწყობს.

აღსანიშნავია ასევე, რომ საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებს, შესაძლოა, საკონსტიტუციო ცვლილებებიც დასჭირდეს, რის თაობაზეც უკვე საგანგებო კონსულტაციები მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ **საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში იმის მაქსიმალური გარანტიების ჩადება, რომ ეკონომიკური ცვლილებები შეუქცევადი გახდეს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ეს ჩვენი ისტორიაა

# საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის

ამიერკავკასიის ხალხებს (ქართველებს, სომხებსძ „ფოცხვერის ყბისა" და „ბაბრის კლანჭებისაგან" „გამოხსნის" დღე დასდგომოდა (ასე უწოდებდა ვახტანგ მეფე სპარსეთს და ოსმალეთსძ. „დარუბანდის გზით" მართლაც შემოდიოდა ოსმალეთ-სპარსეთის მძლავრობის შემმუსვრელი ძალა. ქართველები (და სომხებიძ გულმხურვალედ გამოეხმაურნენ რუსთ ხელმწიფის მოწოდებას, მყისვე საომრად გაემგზავრნენ და მოკავშირე (რუსთაძ ლაშქრის მოსვლას ამიერკავკასიაში მოუთმენლად ელოდნენ. მაგრამ საქმე შეფერხდა და რუსეთი იძულებული შეიქმნა ამიერკავკასიის უდიდეს ნაწილში ოსმალთა გაბატონებას დროებით შერიგებოდა.

1723 წელს ოსმალეთმა ქართლი დაიპყრეს და აქ „ოსმალობა" (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური წესები, ოსმალური ფეოდალიზმიძ შემოიღეს. მალე, სამცხე-საათაბაგოს მსგავსად, ოსმალებმა ქართლიც საფაშოდ აქციეს. ამავე დროს ოსმალეთი შეეცადა დასავლეთ საქართველოს ასევე დაპყრობას და იქაც საფაშოების შექმნას. ოსმალებმა დაიპყრეს ფოთი და ის საფაშოდ აქციეს, ამავე დროს ფაშობა „მიანიჭეს" აფხაზეთის მთავარს, დაიპყრეს ქვემო გურია (კახაბერი, ბათომიძ, ხოლო იმერეთში მათვე ეპყრათ ქუთაისის, ბაღდადის, შორაპნის და ცუცხვათის ციხეები.

ერთი სიტყვით, ოსმალეთი საქართველოს გასაქრობად გადამწყვეტ შეტევაზე გადმოსულიყო. ეს იყო ამ აგრესორის მხრით საპასუხო ღონისძიება საქართველოს გამოხსნა-აღდგომის იმ გეგმისა, რომლის სისრულეში მოყვანა ქართველ პატრიოტებს (ვახტანგ VIძ რუსეთის დახმარებით რეალურ საქმედ ეჩვენებოდათ. ოსმალეთს, ისევე როგორც შაჰ-აბასს XVII საუკუნის დასაწყისში, გადაეწყვიტა, რათა ამიერკავკასიაში რუსეთის ეს დასაყრდენი მოეშალა.

სასტიკი ბრძოლა გაიმართა. დამპყრობელმა ქართულ-ფეოდალურ საზოგადოებაში რამდენამდე მნიშვნელოვანი სოციალური დასაყრდენი ვერ გაიჩინა: „ოსმალობა" შეუთავსებელი იყო ქართულ-ფეოდალურ ურთიერთობასთან. „ქართველობის" დასაცავად ქვეყანა აჯანყდა.

მალე სპარსეთის პოლიტიკურ ასპარეზზე თამაზ ყული ხანი (ნადირ-შაჰიძ გაძლიერდა. ხანგრძლივი და სისხლიანი ბრძოლით მან მოახერხა ყიზილბაში ფეოდალების (ხანებისძ დამორჩილება და ადერბაიჯან-კავკასიაში ოსმალთა წინააღმდეგ გამოილაშქრა. აჯანყებით მოცულ ქვეყანაში ოსმალებმა ვერ გაუძლეს ყიზილბაშების შემოტევას, დამარცხდნენ და ადერბაიჯან-აღმოსავლეთ ამიერკავკასია დასცალეს. ოსმალო დამპყრობელი ამ ქვეყნებში, ამრიგად ისევ ყიზილბაშმა დამპყრობელმა შეცვალა (1735 წ.ძ.

ქართლ-კახეთში ნადირ-შაჰმა ყიზილბაშური სოციალ-პოლიტიკური წყობილება — „ყიზილბაშობა" შემოიღო, რაც ისევე შეუთავსებელი იყო ქართულ სოციალ-პოლიტიკურ წყობასთან, როგორც „ოსმალობა". და ქართველი ხალხი ახლა ამ დამპყრობელს აუჯანყდა. თორმეტ წელს გრძელდებოდა ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა „ყიზილბაშობის" წინააღმდეგ „ქართველობის" დასაცავად. ერანის შაჰი იძულებული გახდა, ხელი აეღო განზრახვაზე. ქართლ-კახეთში ქართული წყობილება აღდგენილი იქნა.

„ოსმალობა" — „ყიზილბაშობასთან" ოცდახუთწლიანი მძიმე ბრძოლის მთელს მანძილზე ქართველთა ერთადერთი იმედი და ზურგის მომხმელი რუსეთი იყო. რუსეთი ეგულებოდათ საიმედო თავშესაფრად ოსმალობა-ყიზილბაშობის წინააღმდეგ აჯანყების მოთავეებს (შანშე. ქსნის ერისთავი, გივი ამილახვარიძ რუსეთს მიმართავდნენ პოლიტიკური გეგმებით ქართველი მეფეები (ვახტანგ VI, ალექსანდრე იმერეთის მეფე, თეიმურაზ IIძ, რუსეთში პოულობდნენ შესაფერის პირობებს ქართული კულტურის მოღვაწენი. ამ ნიადაგზე წარმოიშვა მოსკოვში ქართველთა კოლონია, ქართველობისათვის მებრძოლ ემიგრანტთა მოსახლეობა, რომელიც დიდ პოლიტიკურსა და კულტურულ საქმიანობას ეწეოდა სამშობლოს სასარგებლოდ.

ეს კოლონია უცილობელი მოწმობა იყო იმისა, რომ პროგრესისათვის მებრძოლ ქართველებს რუსეთი სწამდათ თავის ნამდვილ მოკავშირედ. ესევე კოლონია იყო აგრეთვე იმის მოწმობა, რომ პროგრესისათვის მებრძოლი ქართველები არ გადალეულიყვნენ და მძიმე ბრძოლას მხნედ განაგრძობდნენ.

მოსკოვში ქართველთა კოლონიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუს და ქართველ ხალხთა დაახლოებისათვის, ამ კოლონიამ აზიარა პირველად საქართველო მოწინავე რუსულ კულტურას.

ამავე დროს წარმოიქმნა წინაკავკასიაში მოსახლეობანი, ხოლო ასტრახანი და ყიზლარი და, უფრო გვიან, მოზდოკი თბილისელ და გორელ ვაჭართა სარბიელი გახდა თავრიზისი, ხოის, რეშტისა თუ აღმოსავლეთის სხვა სავაჭრო ქალაქების გვერდით. ასტრახან-ყიზლარიდან ქართველ ვაჭრებმა თანდათან გზა გაიკვლიეს რუსეთის სხვა სავაჭრო ქალაქებისკენ. ეკონომიური კავშირი რუსეთსა და საქართველოს შორის ამიერიდან სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და მტკიცდებოდა (თუმცა რუსეთთან ვაჭრობის ხვედრითი წონა დიდხანს ამის შემდეგაც უფრო მცირე იყო, ვიდრე ვაჭრობისა აღმოსავლეთის ქვეყნებთანძ. პირველად ეს სავაჭრო ურთიერთობა დარუბანდ-ბაქოს გზით ხორციელდებოდა, მაგრამ XVIII საუკუნის 40-იან წლებში ხელახლა აღდგა დიდი ხნის წინ დაყრუებული საქარავნო-სავაჭრო „გზაი დარიალანისაი", რომელსაც ახალს პირობებში „რუსეთის გზა" შეერქვა. აღნიშნული გზის გახსნა საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი იყო. ეს გზა საქართველოს უშუალოდ აკავშირებდა ახალ მსოფლიოსთან და ყიზილბაშურ-ოსმალური გარემოცვის პირველ შენგრევას მოასწავებდა. ქართლ-კახეთის, ამიერკავკასიის ამ გეოგრაფიული ცენტრის მნიშვნელობა „რუსეთის გზის" გახსნასთან დაკავშირებით განსაკუთრებით იზრდებოდა: ისახებოდა პირობები, როცა საქართველო თბილისით კვლავ ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრი გახდებოდა.

ნადირ-შაჰმა ვერ უშველა ერანის სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს. შაჰი ყიზილბაშურმა რეაქციამ იმსხვერპლა, ქვეყანა ღრმა ფეოდალურმა არეულობამ მოიცვა. ქართლ-კახეთი (ისევე როგორც მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაძ ფაქტიურად უცხოელთა მფლობელობისაგან განთავისუფლდა.

XVIII საუკუნე იდგა, ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვების საუკუნე. ევროპული ქვეყნები ჩამორჩენილ ახლოაღმოსავლეთს სხვადასხვა მხრიდან შემოსდგომოდნენ. ჩრდილოეთიდან რუსეთი, დასავლეთ-აღმოსავლეთიდან საფრანგეთ-ინგლისი, ახლო-აღმოსავლეთი, უპირველეს ყოვლისა, ერან-ოსმალეთი, ამ სახელმწიფოთა ძიშპის საგანი ხდებოდა.

ამიერკავკასიის ხალხების მიმართ ამ ევროპულ სახელმწიფოებს ერთიმეორის საწინააღმდეგო პოზიციები ეჭირათ. ინგლისსა და საფრანგეთს ამიერკავკასიის ხალხთა უშუალო დაპყრობის საშუალება არა ჰქონდათ. ამიტომ ისინი ირჩევდნენ, რათა ეს ქვეყნები ძველებურადვე ერანისა და ოსმალეთის ხელქვეშ დარჩენილიყვნენ; ამ უკანასკნელთა კოლონიურ ექსპლოატაციას კი ისინი საკუთრად აპირებდნენ. ამრიგად, რუსეთთან ძიშპი ინგლისი და საფრანგეთი ამიერკავკასიის ხალხთა ერან-ოსმალეთისათვის დამონების მოღვაწეებად გამოდიოდნენ. სულ სხვა იყო რუსეთის პოზიცია. ახალგაზრდა რუსეთი ოსმალეთის (და ერანისძ წინააღმდეგ გამოდიოდა და ამიერკავკასიის ხალხთა მხარის დაჭერას საჭიროებდა. ამდენადვე, რუსეთი ერან-ოსმალეთის ბატონობისაგან ამიერკავკასიის ხალხთა განთავისუფლების მოღვაწე იყო.

ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკის კვანძი ამიერკავკასიაში იხლართებოდა. საქართველო გადამწყვეტი მომენტის წინაშე დგებოდა.

დაჩიხული საქართველოს პოლიტიკური არსებობის „გარანტია" — ძველი აგრესორების — ერან-ოსმალეთის — ჩამორჩენილობა იყო. მოწინავე ქვეყნების ძიშპში საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული, ვერ გადარჩებოდა, თუ ის ამ დაჩიხულობიდან ვერ გამოვიდოდა. მას უნდა დიდი სოციალურ-პოლიტიკური ნაბიჯი გადაედგა, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა მას არ ასცდებოდა.

ყველაფერი ეს უახლოესი მომავლის საქმე იყო. ჯერჯერობით კი მოწინააღმდეგე ძალები, ერთიმეორის რიდით, პოზიციურ მანევრს სჯერდებოდნენ და მთავარი საბრძოლო ასპარეზი ნეიტრალური რჩებოდა.

ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ნაწილს კარგად ესმოდა მომენტის მნიშვნელობა და სამშობლოს სასარგებლოდ მის გამოყენებას ყოველი ღონით ცდილობდა.

ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი ამ ხანას „გამოხსნისა და აღდგომის დროს" უწოდებდა „გამოხსნაში" ქართველები სამშობლოს განთავისუფლებას გულისხმობდნენ ერან-ოსმალო დამპყრობთა მძლავრობისაგან, „აღდგომაში" კი საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება, პოლიტიკური გაძლიერება, მისთვის ძველი მნიშვნელობისა და როლის კვლავ მოპოვება — კავკასიის ხალხთა გაერთიანების პროგრესული მისია — იგულისხმებოდა. კავკასიის ხალხთა გაერთიანების ეს იდეა არა მარტო ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ნაწილში ცოცხლობდა, ასევე ცოცხლობდა ის სომეხ პროგრესულ მოღვაწეთა წრეებშიაც. სომეხი პოლიტიკური მოღვაწენი არა მარტო XII-XIII საუკუნეში ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ დიდი პროგრესული საქმისათვის, საქართველოს ჰეგემონობით რომ ხორციელდებოდა იმ დროს კავკასიაში, არამედ შემდგაც საუკუნეთა მანძილზე, ქართველებთან ერთად იბრძოდნენ იმ ვითარების დაბრუნებისათვის, როცა ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში გაერთიანებული, მონათესავე კულტურის მოძმე ხალხები — ქართველები, სომხები, ალბანელები — წარმატებით ილვწოდნენ პროგრესისათვის. ამის მოწმობანია არა მარტო იმ სომეხთა საქმიანობა, რომელთაც საქართველოში სამშობლო მოიპოვეს, ამის მოწმობანია აგრეთვე საქართველოს საზღვარს გარეთულ სომეხთა თუ სომხურ ორგანიზაციათა თანამშრომლობა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან XV საუკუნეში (ალექსანდრე მეფის დროსძ, XVII საუკუნეში (თეიმურაზ მეფის დროსძ, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში (ვახტანგ VI დროსძ და, განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ერეკლე II-ის დროსძ.

მძიმე ზიანად აჩნდა საქართველოს მის თავს გადახდილი ძნელბედობანი, როცა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რამდენიმე ხელსაყრელი პოლიტიკური პირობები შეიქმნა დაპყრობილ-დამონებულ ხალხთა „გამოხსნა-აღდგომისათვის": სამხრეთ საქართველო ახალციხის საფაშოდ იყო ქცეული და ოსმალო აგრესორის დასაყრდენს წარმოადგენდა საქართველოს დანარჩენი ნაწილების დასამონებლად; საფაშოდვე იყო ქცეული აფხაზეთი — ოსმალო აგრესორის მეორე დასაყრდენი (დასავლეთის მხრიდანძ; იგივე ოსმალები დაუფლებოდნენ დანარჩენ ზღვისპირეთსაც, რომელიც ფოთის ფაშის საგამგეოში შედიოდა, ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული ქვემო გურია ბათომის და იმერეთის ციხეები: ქუთაისი, შორაპანი, ცუცხვათი, ბაღდათი. აღმოსავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქებში მართალია, უცხო დამპყრობლები აღარ ისხდნენ, სამაგიეროდ, აქ სხვა რიგის ზიანი აჩნდა ქვეყანას. „ოსმალობა"-„ყიზილბაშობასთან" ოცდახუთწლოვან ბრძოლაში მძიმედ დაზიანებულიყო ქართლი და, განსაკუთრებით, მისი სამხრეთი ნაწილი. ზოგიერთი კუთხე სულ დაცლილიყო მოსახლეობისგან, ზოგან კი ქართველთა ნამოსახლარზე თურქმანი მომთაბარენი ჩამომსხდარიყვნენ. მძიმე იყო მდგომარეობა კახეთშიც, მისი აღმოსავლეთი ნაწილი დაღესტნელებს დაეპყრათ და ის საქართველოს მარბიელ აბრაგთა ბუნაგად ექციათ.

ამ მოვლენებთან უშუალო კავშირში იმყოფებოდა და მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ქვეყნის ხანგრძლივი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური დაჩიხულობა („სათავადოები, სამთავროები, სამეფოებიძ, რომლის ნიადაგზე საქართველოში უკვე დიდი ხანია საშიში სოციალური სენის სახედ მძვინვარებდა" კლასობრივი ბრძოლის გადაგვარებული ფორმები „ტყვის სყიდვა" და „ლეკიანობა". როგორც ერთი, ისე მეორე სავსებით გამორიცხავდა ფეოდალური საზოგადოების შემდგომ განვითარებას.

1745 წლის აქტი (საქართველოს მეფის კურთხევა საგანგებოდ შემუშავებული წესითძ მხოლოდ იმის მოწმობა როდი იყო, რომ ქართლ-კახეთში „ქართველობა" (ქართული სოციალ-პოლიტიკური წყობილებაძ აღდგა. ხსენებული აქტი და ამის შემდგომ პოლიტიკური ფაქტები (ერევნის, განჯის და ნახჭევანის სახანოების დამორჩილება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის წარმატებით ბრძოლაძ იმას მოწმობდნენ, რომ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს საქართველოს აღდგომაში ამიერკავკასიის ოდინდელი გაერთიანება ეგულებოდათ. ამასვე მოწმობს ის პოლიტიკური პრეტენზიები, ერეკლე II რომ ცნობად მოახსენა რუსეთის სამეფო კარს 70-იან წლებში. ჩანდა, რომ ამ ახალს პირობებშიაც საქართველო იმ პროგრესიული საქმის შესრულებას აპირებდა, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა თავისუფალი განვითარების ერთადერთი გარანტია იქნებოდა.

დროისა და გარემოებათა სწორად შეგნებას მოწმობს ორგანულად მთლიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ერეკლე მეორისა.





ნიკო ბერძენიშვილი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 14-16.

◎ განსჯა

# საჭირო ცვლილებები ეკლესიის შიგნით უნდა ხორციელდებოდეს და არა „თავისუფლების ინსტიტუტის“ კარნახით

(მეხუთე გვერდიდან)

ის, ვინც მსგავს რამეს აკეთებს, უნდა ხელმძღვანელობდეს არა საკუთარი მოსაზრებებით, არამედ იმით, როგორ მიიღებს მის ნამოქმედარს საზოგადოება. ეს შუალედი გამოხატვის თავისუფლებასა და ადამიანის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას შორის ყოველთვის უნდა მოიძებნოს.

**— რაც შეეხება საკუთრივ მართლმადიდებელ ეკლესიას. იზიარებთ თუ არა იმ აზრს, რომელსაც პატრიარქისადმი მიმართვის ავტორები ავითარებენ, რომ ქართული ეკლესია ფუნდამენტალისტურია და რეფორმებს საჭიროებს?**

— ეკლესია ყოველთვის ვითარდება, მასში ყოველთვის რაღაც იცვლება. დღესდღეობით ეპისკოპოსს არ ჰყავს ცოლი, მაგრამ პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში წერს, რომ ეპისკოპოსი უნდა იყოს ერთცოლიანი. ქრისტიანობის საწყის ეტაპზე ასე იყო. მერე უკვე, როცა მონასტრები და ბერული ცხოვრება გაჩნდა, საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ ეპისკოპოსი ბერი უნდა იყოს, შესაბამისად, ცოლი არ უნდა ჰყავდეს. ეკლესიამ ჩათვალა, რომ უმჯობესია მან მარტო სამწყსოზე იფიქროს და არა ოჯახზე. ამ ყველაფერს ეკლესიაში მუდმივი ცვლილებების დასტურად ვამბობ, მაგრამ ამ ცვლილებებს თავად ეკლესია მის შიგნით ახორციელებს, როცა შიგნიდან იცვლება, გასაგებია, მაგრამ როდესაც ადამიანები, რომლებსაც, ეკლესიასთან არანაირი კავშირი არ აქვთ, გარედან ცდილობენ რაიმეს შეცვლას, ეს სრულიად გაუგებარია. რატომ? რა მათი საქმეა? ეკლესიის წევრს აქვს ამის უფლება. მაგალითად, მე ერთი პერიოდი დავით-გარეჯში მეღავითნედ ვმსახურობდი. პირველი დიდმარხვა რომ ჩავატარეთ, ლოცვებს სრული სამონასტრო წესით, ყოველდღე 10-11 საათი ვკითხულობდით. ძალიან მძიმე იყო. ამას გამოცდილი ბერები აკეთებენ, ჩვენ ამის აწევის ძალა არ გვქონდა და იქვე პატარა რეფორმა მოვახდინეთ, შემოკლება დავიწყეთ. მიღებულია. მაგრამ ეს შიგნით უნდა გადაწყვიტო და გარედან რომ ვიღაც კარნახს დაგიწყებს, არ გამოვა. თუ ეკლესია საჭიროდ ჩათვლის, რეფორმა შიგნით უნდა განხორციელდეს. დღეს ეკლესია რაღაცეების გაკეთებას საჭიროდ არ თვლის, რაღაცეების გაკეთებას კი პირიქით, საჭიროდ მიიჩნევს და ისინი იცვლება კიდეც. მაგალითად, შეგიძლიათ, ნახოთ დასავლეთ ფასადის მოხატულობა სიონში. ის ილია მეორეს დროს არის მოხატული. განსხვავებული მხატვრობაა. ჩაითვალა, რომ ახლა შეიძლება უფრო განსხვავებულად ვხატოთ, ვიდრე XI-XII, XIX საუკუნეებში. რეფორმებზე საუბრისას შეგვიძლია, სხვა მრავალი მაგალითიც მოვიყვანოთ. ამის მაგალითია თუნდაც ძალიან ბევრი მართლმადიდებელი ეკლესიის ახალ სტილზე გადასვლა. ჩვენი ეკლესია, იერუსალიმი, სერბეთი, რუსეთი შობას 7 იანვარს აღვნიშნავთ და ვამბობთ, რომ 7 იანვარი სინამდვილეში 25 დეკემბერია და ძველი სტილი უფრო სწორია. სხვა ეკლესიებმა ჩათვალეს, რომ ასე არ არის და ახალ სტილზე გადავიდნენ. ჩვენთან 25 დეკემბერს კათოლიკურ შობას შეცდომით უწოდებენ. არანაირი კათოლიკური ეს არ არის და ძალიან ბევრი მართლმადიდებელი ქვეყანა ქრისტეშობას სწორედ 25 დეკემბერს აღნიშნავს. ეს ეკლესიის გადასაწყვეტია და აქ ვერავინ ჩაერევა.

**— საუბარია იმაზეც, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით თვით ეკლესიის შიგნით, სასულიერო პირებს შორისაც არის დაპირისპირება. სხვათა შორის, ზემოხსენებულ კითხვარს ორი მოქმედი მღვდელი, ასევე მღვდელყოფილი ბასილ კობახიძეც აწერენ ხელს...**

— დაპირისპირებების შესახებ არაფერი ვიცი. ან რა პოლიტიკოსების და უფლებადამცველების საქმეა, ჩავერიოთ?! ბასილ კობახიძე იყო მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი, შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში განყენებული იყო მღვდელმსახურებისგან, თუმცა მღვდლობის უფლება მისთვის არავის წაურთმევია — თვითონ გაიხადა ანაფორა და თქვა, რომ მღვდლობის ხარისხზე უარს ამბობს. რაც შეეხება მამა ზაზა თევზაძეს, ეს არის ადამიანი, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ, ჩემი მეგობარია, მაგრამ ნამდვილად გამიკვირდა, როდესაც ამ კითხვარის ხელმომწერთა შორის მისი გვარი ვნახე. ზოგადად ეს არის ლიბერალური შეხედულებების ადამიანი, რომელიც თვლის, რომ ეკლესიაში გარკვეული რაღაცეები შესაცვლელია. ვიმეორებ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მას აბსოლუტურად ლეგიტიმური უფლება აქვს, ამას ფიქრობდეს, იმიტომ, რომ ეკლესიის შიგნით არის და არა გარედან კარნახობს ეკლესიას რამეს, როგორც „თავისუფლების ინსტიტუტი“. ზოგადად, თუ სასულიერო პირს მიაჩნია, რომ მისთვის ამ ეკლესიის გარკვეული წესები მიუღებელია, ე.ი. თვლის, რომ ის ამ ეკლესიის წევრი არ არის და შეუძლია, თავისი ადგილი სხვაგან აირჩიოს.

**— თქვენ ხშირად გადანაშაულებდნენ, რომ „მართლმადიდებლობას ებრძვით, სექტანტების დამცველი ხართ“ და ა.შ. ამის მაგალითად სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი და უმცირესობათა საბჭოები მოჰყავდათ. როგორ ფიქრობთ, სხვა რელიგიების მიმდევრების უფლებები საქართველოში დღეს ისევეა დაცული, როგორც მართლმადიდებლების?**

— ტოლერანტობას რაც შეეხება, შეგიძლიათ, პატრიარქის ბოლო ეპისტოლე წაიკითხოთ, ისიც იმავეს ამბობს, რომ ტოლერანტობა საქართველოში სასწავლებელი არ გვაქვს. ეს ისტორიულად, ტრადიციულად მოგვდევს და ხშირად ვიმეორებთ. ზუსტად ამის ნიშანია, რომ ჩვენთან ერთმანეთის გვერდით არის მეჩეთი, სინაგოგა, კათოლიკური ეკლესია, სიონი. ეს ტრადიცია არ უნდა დავკარგოთ. როდესაც რომელიმე ადამიანი ამ ტრადიციას ებრძვის, ცხადია, ამას უნდა დავუპირისპირდეთ. როცა შევარდნაძის დროს იეღოველებთან შევარდნები, წიგნების დაწვა და დარბევები ხდებოდა, ეს დაუშვებელი იყო და ამას ვებრძოდი, ვიცავდი იმ ადამიანებს, ვისაც ასე ექცეოდნენ. რაც შეეხება მართლმადიდებლობას, მე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი ვარ, ჩემი მესამე შვილი პატრიარქის ნათლულია და ახლა მეოთხეს ველოდები. მაგრამ არ მიყვარს მართლმადიდებლობის აფიშირება და რწმენას პოლიტიკური ბრძოლის იარაღად არ ვიყენებ. არა ვარ ის ერთ-ერთი პარლამენტარი, რომელსაც ჰგონია, რომ თუ მართლმადიდებლობაზე ბევრს ილაპარაკებს, მდინარე იორდანეში მაინცდამაინც ჟურნალისტების თვალწინ იბანავებს და იტყვის: უი, რა წმინდანი ამოველი იქიდანო, მაგარი მართლმადიდებელი გამოჩნდება, მეორე დღეს კი არჩევნებს აყალბებს და მთავარი გამყალბებელია საქართველოში. ყველამ იცის მისი სახელი და გვარი და თქვენც იცით. ეს არ არის ჩემთვის მართლმადიდებლობა. ჩემთვის მართლმადიდებლობაა, ქრისტიანულად ვიცხოვრო. როგორც პავლე მოციქული ამბობს, რწმენა საქმეების გარეშე მკვდარია! საქმე არის, რომ არჩევნები არ გააყალბო, ტყუილი არ ილაპარაკო, არ მოიპარო, კაცი არ მოკლა და ადამიანს ემსახურო. ქრისტე გვასწავლის ორ რამეს: გიყვარდეს ღმერთი შენი და გიყვარდეს მოყვასი. ეს ორი მცნება უმთავრესია და ვინც ცდილობს, ასე მოიქცეს, ის არის ქრისტიანი. ვინც ასე არ იქცევა და მხოლოდ ბევრს ლაპარაკობს, ის ხალხის დასანახად დღეში ხუთჯერ რომც დადიოდეს ეკლესიაში, არ არის მართლმადიდებელი. ეს არის ქრისტიანობაზე ჩემი შეხედულება. რაც შეეხება თანასწორუფლებიანობას, როდესაც კონკრეტული რელიგიური ჯგუფის დარბევა ხდებოდა, მე ამას ყოველთვის ვაპროტესტებდი. ხშირად მაკრიტიკებდნენ, რატომ მართლმადიდებლების უფლებებს არ იცავ და სულ უმცირესობებზე ლაპარაკობ. მათ ერთი რამ ავიწყდებათ: უფლების დარღვევა მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია - თავისი ქმედებით ან უმოქმედობით. მაგალითად, როდესაც ბასილ მკალავიშვილი უმცირესობებს დევნიდა, ეს არ იყო უფლების დარღვევა, ეს ჩვეულებრივი დანაშაული იყო, მაგრამ როდესაც სახელმწიფო ამას არ კვეთდა და დამნაშავეს არ სჯიდა, ეს უკვე უფლების დარღვევა იყო, იმიტომ, რომ ადგილი ჰქონდა უმოქმედობას. ასე რომ, როდესაც თუნდაც ხათუნა გოგორიშვილი მადანაშაულებს მართლმადიდებლების უფლებების არდაცვაში, მან უნდა იცოდეს, რომ თუ მართლმადიდებლების უფლებები ირღვეოდა, ვერავინ დაარღვევდა მათ, თუ არა თვითონ გოგორიშვილი და მისი თანაგუნდელები, მისი მთავრობა და პარლამენტი. რაც შეეხება იმას, ირღვეოდა თუ არა მართლმადიდებელთა უფლებები საერთოდ, რა თქმა უნდა, ირღვეოდა! ამ უფლების დარღვევა იყო, როდესაც ფერიის მთაზე ეკლესია დაანგრიეს და ამის გამო არავინ დასჯილა. ამისთვის პასუხი პროკურატურისთვის უნდა მოეთხოვათ და არა სახალხო დამცველისთვის. მე განცხადება გავაკეთე, — ეს სწორედ ის იყო, რაც სახალხო დამცველს შეეძლო. ასევე მოვითხოვე ვანო მერაბიშვილის გადაყენება, მაგრამ არ გადააყენეს. იყო ასევე შემთხვევა, როდესაც პარლამენტის ერთ-ერთმა ძალიან მდიდარმა წევრმა შეისყიდა მიწა, რომელზეც მართლმადიდებელი ეკლესია იდგა. ეს ეკლესია რუსების მიერ იყო აშენებული, სამხედრო ნაწილის ეკლესია იყო. როდესაც იქ ლოცვის ჩასატარებლად მღვდელი შევიდა, ამ პარლამენტარის დაცვის წევრებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და გამოაგდეს. ცხადია, ესეც უფლების დარღვევა იყო, მაგრამ იმ ადამიანმა დაარღვია, ვინც იმ პარლამენტში იჯდა და დღესაც ამ პარლამენტის წევრია. ასე, რომ, ტოლერანტობის პრობლემას, როგორც წესი, ხელისუფლება ქმნის, როდესაც დამნაშავეთა ჯგუფებს აქეზებს. ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს თავში ჯოხი ჩაარტყან, მაგრამ როდესაც ხელისუფლება არაფერს აკეთებს, მაშინ არატოლერანტობის გაძლიერება და გაღვივება იწყება და შეიძლება, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნას, რომ ასეთი არატოლერანტი ერი მსოფლიოში არ არის. მაგალითად, როდესაც ბასილ მკალავიშვილის ჯგუფი დადიოდა და „იეღოვას მოწმეებს“ არბევდა, ეს იყო მთავარი ნიუსი, რაც საქართველოდან გადიოდა და საქართველოს სახედ იქცა, მაგრამ აღიკვეთა თუ არა ეს, ყველას დაავიწყდა და დღეს „იეღოვას მოწმეს“ აღარავინ ახსენებს. რატომ იყო ეს მაშინ ტელევიზიებში მთავარი თემა? — იმიტომ, რომ სახელმწიფო უმოქმედოდ იყო, ასე, რომ, ეს პირველ რიგში, სახელმწიფოს პრობლემაა და არა საზოგადოების.

**— როგორ ფიქრობთ, თავად ეკლესია თუ უნდა არეგულირებდეს ამ პრობლემას?**

— ბასილ მკალავიშვილი მაშინ მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი არ იყო. 1996 წლიდან ის არაა ეკლესიის წევრი. მანამდე „იეღოვას მოწმეების“ ასეთ ღია დევნას ადგილი არ ჰქონია. ამან მასობრივი ხასიათი 90-იანი წლების ბოლოს მიიღო. მარტო მკალავიშვილი არ არის, კიდევ არიან და ყოველთვის გამოჩნდებიან გარკვეული ჯგუფები, რომლებიც საწინააღმდეგო აზრის დევნას დაიწყებენ. ამერიკა ტოლერანტული საზოგადოებაა, მაგრამ 11 სექტემბრის შემდეგ ზოგიერთი პასტორის ქადაგება რომ მოისმინოთ, თმები ყალყზე დაგიდგებათ. ეს იყო და ყველგან არის, მაგრამ ამ შემთხვევაში ზღვარი ხელისუფლებამ უნდა გაავლოს და განსაზღვროს, რა არის მისაღები და რა — არა. ქართული საზოგადოება არატოლერანტული არასდროს ყოფილა და არც დღეს შეიძლება, ჩაითვალოს. ქართული საზოგადოების პრობლემა ის არის, რომ როცა პოლიტიკოსები თუ სხვები ყოველდღიურად შიშებს ულვივებენ, ტელევიზიითაც ყოველდღე ერთსა და იმავეს უსმენენ, მოქალაქეები ჰყვებიან ამას და საფრთხეს ხედავენ.

**ნინო ჩიჩუა.**

საინფორმაციო სააგენტო „პირველი“

◎ გამოცა

***გივი იასეშვილის წიგნი „საქართველოს სამხედრო მეცნიერებათა აკადემია, დაარსება და მიღწევები, კრებული“ (თბილისი, 2009), ფართო მკითხველისთვის საინტერესოც არის და სასარგებლოც. საინტერესოა იმით, რომ აკმაყოფილებს მის, გარკვეულ ფარგლებში, მოქალაქეობრივსა და საერთო-ადამიანურ ცნობისმოყვარეობას, რადგან კითხვა, თუ რისგან (რა და რა დარგებისგან, რა და რა ამოცანებისგან) შედგება პროფესიული სამხედრო ცოდნა, ყველა ადამიანის სულში ცოცხლობს. ამ მხრივ წიგნი თემათა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. სასარგებლო კი იმით არის, რომ მკითხველს, არაერთ თემასთან დაკავშირებით, ახედებს სამხედრო ცოდნის ამა თუ იმ მონაკვეთის პრობლემებში, ანუ სტიმულს აძლევს, დაფიქრებისათვის ამ საკითხებზე, ეს ძალიან კარგია საქმისათვის იმ მხრივ, რომ, თუ გვინდა საქართველოში მაღალი ხარისხის სამხედრო სპეციალისტების გაზრდა, ამისთვის აუცილებელია, რომ საზოგადოებაში მუდმივად ტრიალებდეს საკუთრივ სამხედრო მშენებლობის თემატიკა, ისე როგორც დღეს ტრიალებს, ვთქვათ სახელმწიფო ხელისუფლების მშენებლობის თემატიკა (მაგალითად, პრობლემის არსებობა, — „რა უმჯობესია საქართველოსთვის — საპრეზიდენტო რესპუბლიკა, საპარლამენტო რესპუბლიკა თუ მონარქია?“ დღეს ყველამ იცის).***

## წიგნი, რომელიც გვაფიქრებს

ავტორი სამხედრო პირია, ამასთან — წლების მანძილზე ნამუშევარი სამხედრო პროფილის ინსტიტუტში „რადიანი“.

წიგნში მასალის მოწოდების თავისებური მეთოდია არჩეული: ფორმით იგი არის კრებული დოკუმენტებისა, რომლებიც ავტორის პრაქტიკულ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული და მისივე პუბლიკაციებისგან, რომლებიც დაჯგუფებულია თემატურად და თან ახლავს ანოტაციები, ისევ და ისევ თემატური პრინციპით, სადაც, განზოგადებული სახით, ჩამოყალიბებულია ის, რასაც ხსენებული პუბლიკაციები ეხება. ასე, მაგალითად, პუბლიკაციათა პირველი ჯგუფის თემაა საიდუმლო მასალების შენახვის საკითხი და მკითხველისთვის ნათელი ხდება ის, რაც მას აქამდე არ გაუცნობიერებია, თუმცა შეუძლებელია, არ ეფიქროს: რომ ის, თუ როგორ იცავენ სახელმწიფოები და მათი კონკრეტული უწყებები უკვე მოპოვებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელსაც, ცხადია, ვერც ჯიბეში ჩაიდებთ და ვერც მაგიდის უჯრაში, მნიშვნელოვანი პრობლემა ყოფილა და რომ ამ მიზნით მისაღწევი გზები შედგება მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციული მეთოდებისაგან, მოდელებისაგან და




საშუალებებისაგან. მკითხველი იგებს იმასაც, რომ ინფორმაციული ომი შედგება ორი კომპონენტისაგან — ინფორმაციის მოპოვებისაგან, ერთის მხრივ, და პროპაგანდული ეფექტის მიღწევისაგან, მეორე მხრივ. ეს მკითხველს, თუ გონიერი კაცია, დამოუკიდებლადაც უნდა ევარაუდა. მაგრამ მკითხველი დამოუკიდებლად ვერ მიხვდება იმას, რომ საიდუმლო ინფორმაციის დაცვის სისტემა არ არის და, თურმე, ვერც იქნება რაღაც სეიფზე ან სათავსოზე საიმედო საკეტის დადების ხერხი, არამედ ეს არის ერთიანი და კომპლექსური, უაღრესად რთული, ალბათური და დინამიკური სისტემა, რომლის შესახებაც ავტორი მკითხველს აუარებელ კონკრეტულ ინფორმაციას აწვდის თვით ფორმულების გამოყენებითაც კი.

ეს თემა მხოლოდ ერთია წიგნში განხილულ თემათა შორის. ანალოგიურადვე მოწოდებულია ინფორმაცია სამხედრო მშენებლობისთვის არსებით მრავალ სხვა სფეროზეც. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ავტორის მიერ არჩეული წესი მასალის მოწოდებისა, უაღრესად **თანამედროვეა**: კონკრეტულად, მოკლე-მოკლედ მოწოდებულია კონსტატაციები, რომლებამდისაც მისვლა მკითხველს, თითქოს თვითონაც შეეძლო, თუკი ძალიან დაფიქრდებოდა, მაგრამ არ მისულა, ჯამში კი, ცოტა ხანს რომ გაჰყვებით მოწოდების ამ სტილს, აღმოაჩენთ, რომ ძალიან წინ წასულხართ (ასეთ სტილში იწერება დღეს, მაგალითად, სოციოლოგიური თემებისადმი მიძღვნილი მასშტაბური გამოკვლევებიძ. მე მგონი, ეს სწორედ ის მეთოდია გადმოცემისა, რომელიც ესაჭიროება ფართო საზოგადოების მოზიდვას იქითკენ, რომ მისთვის დღეს თითქმის უცნობი დარგი —პროფესიული სამხედრო ცოდნა — შეითვისოს და შეისისხლხორცოს, რის გარეშეც (ანუ საზოგადოების ფართო ჩარევის გარეშეცძ საქართველოს სამხედრო ძალა ვერ აშენდება.

**ნოდარ ნათაძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

*თებერვლის შუა რიცხვებში ოპოზიციური მოძრაობის „სამართლიანი საქართველოსთვის“ 45 წლის ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი მოსკოვში ჩასვლას აპირებს. ეს მისი მეხუთე ვიზიტი იქნება რუსეთის დედაქალაქში 2009 წლის ოქტომბრიდან. 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთთან შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ ორ ქვეყანას შორის შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობანი, ამიტომ ქართველი პოლიტიკოსის არაფორმალური ჩასვლები მოსკოვის დედაქალაქში იწვევს გაზრდილ ინტერესს. ნოღაიდელს ხომ 2005-2007 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა. იმის შესახებ, თუ რატომ ჩადის ასე ხშირად იგი იმ ქვეყნის დედაქალაქში, ვისთანაც საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური ურთიერთობანი, ზურაბ ნოღაიდელი გვიამბობს.*

# „რუსეთთან ურთიერთობათა ნორმალიზაციის გარეშე საქართველო ერთიანობის შანსს კარგავს“

— ჩვენი მოძრაობა აპირებს ხელი მოაწეროს შეთანხმებას „ერთიან რუსეთთან“ თანამშრომლობის შესახებ. ეს უნდა დაგვეხმაროს ბევრი საკითხის გადაწყვეტაში. მოსკოვში წინა ოთხმა მგზავრობამ გაამართლა. მაგალითად, მოხერხდა სამხრეთ ოსეთში დაპატიმრებული ოთხი ქართველი მოზარდის გათავისუფლება, ხელი შევუწყეთ ჩარტერული რეისების ორგანიზაციას თბილისსა და მოსკოვს შორის. რეისი სულ სამი იყო — ცოტაა, მაგრამ ეს უკეთესია, ვიდრე არაფერი. ვიმუშავებთ კვლავაც,ვინაიდან საქართველოს მოსახლეობას სურს გააუმჯობესდეს ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. ჩვენ რეგულარული ავიამიმოსვლის მომხრე ვართ, ჩვენ ვემხრობით რუსეთში ქართული ექსპორტის თანდათანობით აღდგენას. რუსეთში საქართველოს დაახლოებით ნახევარი მილიონი მოქალაქე ცხოვრობს, ისინი ამომრჩევლები არიან. საჭიროა, რომ მათი ხმა სამშობლოში არავინ მიითვისოს.

*— მოსკოვთან ხშირი კონტაქტების გამო საქართველოს ხელისუფლება თქვენ „რუსეთის აგენტს“ გიწოდებთ...*

— ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს აღვირახსნილი კამპანია — ჩვენი მოძრაობის წინააღმდეგ თუ მთელი საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ? მე ვმოქრაობ იმ მიმართულებით, რასაც ითხოვს საქართველოს საზოგადოებრიობა. ჩვენ არ გვაქვს ილუზიები, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის შემდეგ ყველაფერი ადვილი გადასაწყვეტი იქნება მოსკოვთან. მაგრამ რუსეთთან ურთიერთობათა ნორმალიზაციის გარეშე საქართველო კარგავს ერთიანობისა და განვითარების შანსს. მოსკოვში ჩვენ განზრახული გვაქვს მოვილაპარაკოთ რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური პარტიების კონფერენციის მოწყობის შესახებ. უნდა ვიცოდეთ, რა არის პრობლემა და როგორ გადავჭრათ იგი. ყველაფერი უნდა გადაიჭრას არა კულუარულად და არა აჩქარებით, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებს, არამედ მშვიდ ვითარებაში.

*— როგორც მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელისთვის, თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, თუ რამდენს კარგავს საქართველოს ეკონომიკა რუსეთის ბაზრის გარეშე.*

— ნახევარი მილიარდიდან ერთ მილიარდ დოლარამდე. ეს მაჩვენებელი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე. მაგალითად, 2008 და 2009 წლებში შემცირდა ქართული ღვინის ექსპორტი ბაზრებზე, რაშიც რუსეთში მიწოდების ალტერნატივას ხედავდნენ.

*— წინა ოთხი ვიზიტის დროს მოსკოვში თქვენ ხვდებოდით რუს პოლიტიკოსებს, პრემიერ ვლადიმერ პუტინსაც კი. თქვენი შთაბეჭდილებით, ისინი მზად არიან საქართველოსთან თანამშრომლობისთვის?*

— საქართველოსთან ახალი ურთიერთობის მშენებლობისთვის მზადყოფნა რომ არ ყოფილიყო, ეს შეხვედრებიც არ იქნებოდა. ჩემთვის ცნობილია, რომ საქართველოს ბევრი პარტია და თვით სააკაშვილიც საიდუმლოდ აგზავნის ემისრებს მოსკოვში. მე კი იქ ჩავედი ღიად, კონკრეტული წინადადებებით, ამიტომ მხვდებოდნენ სიმპათიით. ეს ამას წინათ განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც. საზოგადოებისთვის ყველაფერი გასაგები უნდა იყოს. 20 წლის განმავლობაში საქართველომ ბევრი წამება განიცადა კონსპიროლოგიური თეორიების გამო.

*— ერთ-ერთი ასეთი თეორიით თქვენც სააკაშვილის ემისარი ბრძანდებით...*

— ეს უბრალოდ სასაცილოა.

*— სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უაფხაზეთოდ და უსამხრეთოსეთოდ.*



— არ უნდა ველოდოთ, რომ დღეს რუსეთის ლიდერები იტყვიან სხვა რამეს. უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს ერთიანობის აღდგენა — ეს ჩვენი ამოცანაა და არა რუსეთის მთავრობის ამოცანა. და ეს უნდა განვიხილოთ არა მოსკოვთან, არამედ სოხუმთან და ცხინვალთან. აფხაზებმა და ოსებმა უნდა დაინახონ, რომ საქართველო მათთვის მზრუნველი სახელმწიფოა.

*— მოსკოვში სააკაშვილის ემისრების შესახებ თქვენ ზუსტად იცით?*

— სრულიად ზუსტად. ის ყველაფერზე წავა, რათა ხელისუფლება შეინარჩუნოს.

*— თქვენ პირობას იძლეოდით, რომ დაიწყებდით დღევანდელი რეჟიმის დემონტაჟს მაისში ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ.*

— სააკაშვილმა უკვე დაიწყო მზადება იმისთვის, რომ მოახდინოს ამ არჩევნების ფალსიფიკაცია. თუ ის შეეცდება ასე მოიქცეს, ეს მისთვის მძიმე შედეგებით დამთავრდება, იქნება საპროტესტო ტალღა.

*— რატომ მოხდა, რომ უკრაინაში პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტურის შემდეგ თქვენ იყავით ამ ქვეყანაში ერთდღიანი ვიზიტით?*

— განვიხილავდი კონკრეტულ ინვესტიციებს დამოუკიდებელი ქართული ტელეკომპანიების განვითარებისთვის. ეს მოუტანს ფულს ინვესტორებს, ტელეკომპანიებს კი — თანამედროვე ტექნიკას.

*— როგორ შეხვდნენ უკრაინელები იმას, რომ ამ ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურზე იქ გაიგზავნა ორიათასზე მეტი მეთვალყურე?*

— უკრაინაში ეს დესანტი ცუდად მიიღეს. ვის სჭირდება, რომ საკუთარ ქვეყანაში ვინმე სხვები ჭკუას არიგებდნენ?

— სააკაშვილს, როგორც ლიდერს, არავინ ენდობა. არ ვიცი, რატომ ჩათვალა მან, რომ მისთვის ნებადართულია გაგზავნოს დესანტი და გადაწყვიტოს უკრაინის არჩევნების ბედი.

მიხეილ ვიგნანსკი

ВРЕМЯ

## დედამიწის ზურგზე

**რუსეთმა უკრაინას „ორმაგი დარტყმა“ მიაყენა: ახალი ელჩის ნაცვლად იქ ჩერნომირდინი დაბრუნდა**

გადადგომის შემდეგ ის დაინიშნა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენლად დსთ-ს ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის დარგში. ჩერნომირდინმა განაცხადა, რომ შეხვდება პოლიტიკოსებს და იმუშავებს ეკონომიკაზე. პოლიტოლოგების აზრით, ის თამაშში უნდა ჩაერთოს, თუ პრეზიდენტის არჩევნები უკრაინაში კვლავ კრიზისით დამთავრდება.

* * *

**ობამამ კონგრესს თავის პირველი გზავნილით მიმართა „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“**

მისი ადმინისტრაციის პრიორიტეტია — სამუშაო ადგილების შექმნა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერა. მან მოუწოდა უარი არ თქვან ჯანმრთელობის დაცვის რეფორმაზე, აგრეთვე უზრუნველყონ ენერგოდამოკიდებულებაზე უარი და გადავიდნენ ეკოლოგიურად სუფთა საწვავზე. ომი ერაყში დამთავრდება, ჰომოსექსუალისტებს კი ღიად შეეძლებათ იმსახურონ არმიაში.

* * *

**ჰაიტიზე გოგონა 15 დღე ელოდა გადარჩენას ნანგრევებში. დაღუპულთა რიცხვმა 170 ათასს მიაღწია**

17 წლის გოგონა ნანგრევებიდან ფრანგმა და ჰაიტელმა მაშველებმა ამოიყვანეს. მას აღმოაჩნდა ორგანიზმის ძლიერი გაუწყლიანება და ფეხების დაზიანება, მაგრამ შეიძლება გადარჩეს.

გაერომ თავისი დაღუპულები დაითვალა: 83 თანამშრომელი.

* * *

**ისტორიაში მეორე ფეხმძიმე მამაკაცი თებერვალში ელოდება პირმშოს და „უსაზღვროდ ბედნიერია“**

30 წლის სკოტ მური, ისევე როგორც მისი ქმარი თომასი, დაიბადა გოგონად და გაიკეთა სქესის შეცვლის ოპერაცია. წყვილი, რომელიც კალიფორნიაში ცხოვრობს, ერთმანეთს შეხვდა 2005 წელს ტრანსსექსუალების მხარდაჭერის ჯგუფში.

## შპს „გეო ფარმა1“ აცხადებს აუქციონს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში (იჯარით) გაცემის მიზნით

**აუქციონზე გამოტანილი იქნება შპს „გეო ფარმა1“-ის კაპიტალში არსებული ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი №2-ში მდებარე ფართები.**

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

**იჯარით გამცემი — შპს „გეო ფარმა1“**

| იჯარით გასაცემი ძირითადი საშუალებების დასახელება | საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა დღგ-ს გარეშე | იჯარის ხანგრძლივობა |
|---|---|---|
| 1. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №1-ში (2973.63 კვ.მ.) | 8.20 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ.) | 12 თვე |
| 2. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, სარდაფი (68.89 კვ.მ.) | 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ.) | 12 თვე |
| 3. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №4 (12.20 კვ.მ.) | 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ.) | 12 თვე |
| 4. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №5 (11.81 კვ.მ) | 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ.) | 12 თვე |
| 5. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №6 (9.58 კვ.მ.) | 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ.) | 12 თვე |

შესაძლოა, ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №1-ში მდებარე ფართის ცალ-ცალკე იჯარით გაცემა;

სააუქციონო პირობა:

საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები);

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა სააუქციონო რეგისტრატორს უნდა წარუდგინონ დოკუმენტები:

- განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, იმ ძირითადი საშუალების დასახელებას, რომლის იჯარით აღებაც სურს მონაწილეს და თანხმობას სააუქციონო პირობების შესრულების თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 2010 წლის 29 იანვრიდან 2010 წლის 11 თებერვლის ჩათვლით 11-დან 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2.**

**აუქციონი ჩატარდება 12 თებერვალს 14 საათზე. საკონტაქტო ტელეფონი: 36-38-61.**

**შპს „გეო ფარმა1“**

დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

სამხედროებმა გადატრიალებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს – მათი წყალობით იგი მოხდა ელვისებურად – და მინიმალური მსხვერპლით. ყველაფერი რომ გაჭიანურებულიყო? „რევოლუციურ მასებს“ რომ ვერ აეღოთ ზამთრის სასახლე? უბრალოდ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ – რა ზეგავლენას მოახდენდა ეს ლენინის მოწინააღმდეგეებზე. ისინი, უეჭველია, ფრთებს შეისხამდნენ და ჩაებმებოდნენ წითლებთან ბრძოლაში. შეტაკება მიიღებდა გაცილებით მეტ მასშტაბს.

თანამედროვე ანტიკომუნისტები ამ სტრიქონების წაკითხვის დროს, ალბათ, იტყვიან – ძალიანაც კარგი! გაანადგურებდნენ ლენინის ბანდას! მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ ბანდის უკან იდგნენ სერიოზული ძალები. და წითლების ასე უბრალოდ განადგურება ვერ მოხერხდებოდა. ლენინის მრავალრიცხოვანი ბანდის გასანადგურებლად საჭირო იქნებოდა ისეთივე „ბანდა“. მათი შეჯახება კი იქნებოდა გრანდიოზული სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი მთელი ქვეყნის მასშტაბით. სხვათა შორის, ასეც მოხდა 1918 წლის გაზაფხულ-ზაფხულზე, როდესაც თეთრჩეხებმა ანტიბოლშევიკურ ძალებს, როგორც ხონჩით, ისე მიართვეს უზარმაზარი ტერიტორიები. აი სწორედ მაშინ გაჩნდა თეთრი „ბანდა“, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩაერთო „წითლებთან“ ბრძოლაში. და რა მოხდა, დამთავრდა ეს ბოლშევიზმის დაცემით? ეს დამთავრდა დიდი სისხლისღვრით და რუსეთის სასწაულებრივი დასუსტებით. ასე ხომ შეიძლებოდა მომხდარიყო 1917 წლის ოქტომბერში.

ჩვეულებრივად ასეთ ვარაუდს უპასუხებენ ხოლმე: ისტორიამ ასეთი კავშირურთიერთობის დადრეკა არ იცის და რომ არც ღირს საუბარი თემაზეო, „ეს რომ ასე ყოფილიყო“. სხვათა შორის, ძალიან ხშირად „ეს რომ ასე ყოფილიყო“ მეტად საჭირო და დროულია. იმის ნათელ მაგალითს, თუ როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მაშინდელი მოვლენები, გვაძლევს მოსკოვის აჯანყება. ბოლშევიკებსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის პირველი სატახტო ბრძოლა მძვინვარებდა 27 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე. საქმე იუნკერების მიერ დაკავებული კრემლის საარტილერიო დაბომბვამდეც კი მივიდა („სტალინიზმის მომავალი“ მსხვერპლი – ნ.ა.ბუხარინი საერთოდ საავიაციო დაბომბვას მოითხოვდა).

აი მოსკოველ ბოლშევიკებს ხომ არსებითი უპირატესობა ჰქონდათ. მათთან შეერთება მოასწრეს რაზმებმა პიტერიდან, მოსკოვის გარეუბნიდან, მინსკიდან და სხვა ადგილებიდან. მათ მოწინააღმდეგეებს კი არავითარი დახმარება არ მიუღიათ. თანაც, როდესაც ბოლშევიკებს არ ჰყავდათ საარმიო სპეცნაზი. ამის გამო მოხდა გამარჯვების გაჭიანურება.

გასაგებია, ასე მოხდებოდა პიტერშიც (მთელ ქვეყანაშიც), მოვლენებში სამხედროები რომ არ ჩართულიყვნენ. სტალინი კი ამ ჩართვას კურირებდა. ბოლშევიკურ ხელმძღვანელობაში ის მისი მთავარი მომხრე იყო. და ეს სავსებით შეესაბამებოდა მის კონსერვატორისა და სახელმწიფო მოღვაწის – ნატურას, რომელიც მიზნად ისახავს მაქსიმალურად დაასუსტოს რევოლუციის რადიკალიზმი, გადაიყვანოს იგი უფრო მშვიდ რეჟიმში. ეს მისწრაფება დამახასიათებელი იყო სტალინისთვის მარტშიც, როდესაც ის ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის წინააღმდეგი იყო, ივლისშიც, როდესაც ბოლშევიკებსა და საბჭოების მენშევიკურ ცაკს შორის შუამავლის როლში გამოდიოდა.

შევეხოთ ფსიქოლოგიური თავისებურებების საკითხს. იქნებ, სტალინის კონსერვატიზმი ლაჩრობის გამოვლინება იყო? მაგრამ ეს ხომ ყველა ფაქტს ეწინააღმდეგება. ავიღოთ, თუნდაც იგივე ოქტომბრის დღეები. 24 ოქტომბერს სტალინი თავის სამუშაო ადგილზე იყო, გაზეთ „რაბოჩი პუტის“ რედაქციაში, რომელსაც სათავეში ედგა პარტიის დავალებით. რედაქციას არავინ იცავდა, და, ნება მოგვეცით, ვიკითხოთ: ვინ მეტ რისკს ეწეოდა – სტალინი თუ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სმოლნიკში რომ იმყოფებოდნენ, რომელიც გადაჭედილი იყო ჯარისკაცებით, მატროსებით და მუშებით? დამახასიათებელია, რომ ზინოვიევმა, პათოლოგიურმა პანიკიორმა, სხდომის მონაწილეებს „მამაცურად“ შესთავაზა მიეღოთ სპეციალური რეზოლუცია, რითაც ავალდებულებდა თავის თავს, არ დაეტოვებინა სმოლნი და ეს რეზოლუცია „გმირულად“ მიიღეს...

აქ საერთოდ განსაკუთრებულად დგება საკითხი სტალინის პიროვნული სიმამაცის შესახებ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სტალინის „არარევოლუციურობა“ და მისი „კონსერვატიზმი“ სულაც არ ყოფილა მისი რამენაირი სილაჩრისა და მშიშრობის შედეგი. ვოლკოგონოვი სტალინს „პათოლოგიურ მშიშარას“ უწოდებს, მაგრამ ეს სრული აბსურდია. სტალინი აქტიურად მონაწილეობდა იატაკქვეშა ბრძოლაში, ექვსჯერ გამოიქცა გადასახლებიდან. პირადი დაცვა მიიღო მხოლოდ 1930 წელს – პოლიტბიუროს სპეციალური გადაწყვეტილებით. ლენინი კი თავისი „უზარმაზარი გეგმებით“ განსაკუთრებული პიროვნული სიმამაცით ვერ დაიკვეხნიდა. აი რევოლუციური მოძრაობის მონაწილე ქალის თალძინსკაიას მონათხრობი ლენინის ქცევის შესახებ პეტერბურგის მახლობლად სოციალ-დემოკრატიული მიტინგის დროს: „როდესაც გაისმა ხმა: „კაზაკები!“ ის პირველი გაიქცა. მე მას მივჩერებოდი. ის გადაახტა ბარიერს, კარდალა თავიდან ჩამოუვარდა... ამ უცნაური ქვაბ-ქუდას დაცემით ჩემს წარმოდგენაში თავად ლენინიც დაეცა. რატომ? არ ვიცი... მისი გაქცევა ჩამოვარდნილი კარდალათი რაღაც ვერ ეხამება ქარიშხალასა და სტენკა რაზინს. მიტინგის დანარჩენ მონაწილეებს არ მიუმართავთ ლენინის მაგალითისთვის. დარჩნენ ადგილზე, ისინი... კაზაკებთან მოლაპარაკებაში ჩაერთვნენ. გაიქცა მარტო ლენინი“.




როდესაც ლენინისა და სტალინის ქცევას ერთმანეთს ადარებს, სოციალური ფსიქოლოგი დ.ვ.კოლესოვი აღნიშნავს: „საქმე ისაა, რომ აზრების (და გეგმებისაც) სითამამე და პიროვნული სითამამე – ერთი და იგივე როდია. ლენინი, უეჭველია, იყო გაცილებით უფრო თამამი თანამებრძოლებთან შედარებით გეგმების სიახლესა და მასშტაბურობაში... მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც კერძო პირი, ის იყო ფრთხილი, კანონმორჩილი, წესიერი... სტალინი – პირიქით, ახალგაზრდობაში – თამამი და უტიფარიც კი... რომელსაც შეეძლო ჰქონოდა კარგი ურთიერთობა დამნაშავეთა სამყაროსთანაც, პოლიტიკურ საკითხებში იყო ლენინზე გაცილებით უფრო ზომიერი და ტრადიციული“.

სტალინი მოქნილად ახამებდა ერთმანეთს გაბედულებასა და სიფრთხილეს, რადიკალიზმსა და კონსერვატიზმს, პრაგმატიზმსა და იდეურობას. არ შეიძლება ითქვას, რომ ის უარყოფდა რევოლუციის აუცილებლობას საერთოდ. იოსებ სტალინი აღიარებდა რევოლუციას, მაგრამ არა როგორც მიზანს. და არა როგორც საზოგადოების გაუმჯობესების საშუალებასაც კი. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით – თავად საზოგადოების გაუმჯობესებას ის განიხილავდა, როგორც ქვეყნის გაძლიერების, სახელმწიფოებრიობის, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებას. ამასთან დაკავშირებით იუგოსლავიის ლიდერის ი.ბ.ტიტოს ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი, შემდგომში ლიბერალ-დისიდენტი მ.ჯილასი წერდა: „იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვი ყველაზე გადამწყვეტ მომენტებში უარს ამბობდა ჩინეთის, ესპანეთის, ბევრ რამეში კი იუგოსლავიის რევოლუციის მხარდაჭერაზე, ჭარბობდა აზრი, და არც უსაფუძვლოდ, რომ სტალინი საერთოდ რევოლუციების წინააღმდეგი იყოო. არადა ეს მთლად ასე როდია. ის რევოლუციის წინააღმდეგი იყო მხოლოდ იმ ზომით, რომელშიც ის გადადიოდა საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების ფარგლებს გარეთ...“

### მსოფლიო რევოლუციასთან ბრძოლაში

სტალინის კონსერვატიული ბოლშევიზმი ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა სურვილის – „ბრძოლა კომუნიზმისთვის მსოფლიო მასშტაბით“ – კატეგორიულ უქონლობაში. სტალინი თავად კომუნისტურ მოძრაობას განიხილავდა უკიდურესად პრაგმატულად – როგორც რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის იარაღს. სტალინის მიერ რევოლუციური ნიჰილიზმისა და რადიკალიზმის მიუღებლობა გაცილებით ნათელია საგარეო პოლიტიკაში, ვიდრე სხვაგან.

ჯერ კიდევ 1918 წელს სტალინმა საჯაროდ გამოხატა თავისი სკეპტიკური დამოკიდებულება ყბადაღებულ „მსოფლიო რევოლუციასთან“ დაკავშირებით. გერმანელებთან სამშვიდობო შეთანხმების საკითხის განხილვის დროს მან განაცხადა: „...როდესაც ვლებულობთ მსოფლიო ომის ლოზუნგს, ჩვენ ხელს ვუწყობთ იმპერიალიზმს... დასავლეთში რევოლუციური მოძრაობა არ არის, არ არის ფაქტები, არის მხოლოდ პოტენცია, პოტენციას კი ჩვენ ანგარიშს ვერ გავუწევთ“.

თავისი სკეპსისი იოსებ სტალინმა შეინარჩუნა პოლონეთზე ლაშქრობის დროსაც (1920 წელი). მაშინ მთელი უმაღლესი ხელმძღვანელობა ვარშავიდან-ბერლინში რევოლუციური შეჭრის მოლოდინით ცხოვრობდა. მხოლოდ სტალინი იყო წინააღმდეგი.

პოლონეთთან ომს ის განიხილავდა, როგორც მხოლოდ თავდაცვითს და წინასწარმეტყველებდა უზარმაზარ სირთულეებს ეთნიკური პოლონელებით დასახლებულ რაიონებში რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიის შესვლის დროს. სტატიაში „ანტანტის ახალი ლაშქრობა რუსეთზე“ სტალინი წერდა: „პოლონეთის ჯარების ზურგი ერთგვაროვანი და ეროვნულად შედუღაბებულია. აქედანაა მისი ერთიანობა და სიმტკიცე. მისი უპირატესი განწყობილება – „სამშობლოს გრძნობა“ – მრავალი ძაფებით გადაეცემა პოლონეთის ფრონტს, ქმნის ნაწილებში ეროვნულ შედუღაბებას და სიმტკიცეს... პოლონეთის ჯარები საკუთრივ პოლონეთში რომ მოქმედებდნენ, მათთან ბრძოლა, ეჭვგარეშეა, ძნელი იქნებოდა“. უკრაინის დეპეშათა სააგენტოსთან ინტერვიუში იოსებ სტალინმა კიდევ უფრო გარკვეულად განაცხადა, რომ „უადგილოა ის ტრაბახი და საქმისთვის მავნე თვითკმაყოფილება, რომლებიც ზოგიერთმა ამხანაგმა გამოავლინა: ზოგიერთი კმაყოფილდება წარმატებით ფრონტზე და ყვირის „ვარშავაზე მარშის“ შესახებ, სხვები, უკმაყოფილონი მტრის თავდასხმისგან ჩვენი რესპუბლიკის თავდაცვით, ამაყად აცხადებენ, რომ შერიგება შეუძლიათ მხოლოდ „წითელ საბჭოთა ვარშავაში“.

სტალინს, ერთადერთს მთელ პოლიტბიუროში, არ სწამდა გერმანიაში „პროლეტარული რევოლუციის“ შესაძლებლობა, რისი განხორციელებაც საბჭოთა ბელადებს სურდათ ჯერ კიდევ 1923 წელს. ზინოვიევისადმი მიწერილ წერილში ის აღნიშნავდა: „თუ ახლა გერმანიაში ხელისუფლება, ასე ვთქვათ, დაეცემა, კომუნისტები კი მას აიტაცებენ, ისინი ჩაფლავდებიან. ეს „უკეთეს შემთხვევაში. უარეს შემთხვევაში კი – მათ გაანადგურებენ და უკან მოისვრიან... ჩემი აზრით, გერმანელები უნდა შევაკავოთ და არა წავახალისოთ“. და შემთხვევითი არ იყო, რომ 20-იან წლებში სწორედ სტალინი ჩაუდგა სათავეში მემარცხენე ოპოზიციის განადგურებას, რომელსაც მსოფლიო რევოლუციაზე მეტი არაფერი ახსოვდათ.

მთელი 30-იანი წლების განმავლობაში, უკვე მსოფლიო კომუნიზმის ლიდერად ყოფნის დროს, სტალინმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ არ დაეშვა რევოლუციის გამარჯვება სადმე ევროპაში. მან დასავლეთ კომუნისტურ პარტიებს თავს მოახვია თავდაცვის ტაქტიკა. დასავლელი კომუნისტები მას ყოველთვის სჭირდებოდა, როგორც საბჭოთა გავლენის გამტარებლები, მაგრამ არა როგორც გარევოლუციონერებელი ძალები. 1934 წელს ავსტრიაში (თებერვალი) და ესპანეთში (ოქტომბერი) იფეთქეს მუშათა ძლიერმა აჯანყებებმა, რომლებშიც მონაწილეობა იქაურმა კომუნისტურმა პარტიებმაც მიიღეს. სტალინი ამ აჯანყებებს არაფრით დახმარებია – არც ფულით, არც იარაღით, არც ინსტრუქტორებით. საინტერესოა, რომ საბჭოთა გაზეთები ამ რევოლუციური მოვლენების შესახებ საკმაოდ განყენებულად იტყობინებოდნენ, დასავლეთის დეპეშათა სააგენტოების მითითებით.

სტალინს არ სჯეროდა ევროპული პროლეტარიატის რევოლუციური მისწრაფებისა. კომინტერნის ცნობილი მოღვაწე გ.დიმიტროვი თავისი დღიურების ჩანაწერებში გვიამბობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრის შესახებ სტალინთან, რომელიც 1934 წლის 17 აპრილს გაიმართა. დიმიტროვმა ბელადს გაუზიარა თავისი გაწბილება: „ციხეში ბევრი ვიფიქრე, თუ ჩვენი მოძღვრება სწორია, რატომაა, რომ გადამწყვეტ მომენტში მილიონობით მუშები ჩვენ არ მოგვყვებიან, არამედ რჩებიან სოციალ-დემოკრატიასთან, რომელიც ასე გამყიდველად მოქმედებდა, ან, როგორც გერმანიაში, მიჰყვებიან ნაციონალ-სოციალისტებს“. სტალინმა ეს „კაზუსი“ ასე განმარტა: „მთავარი მიზეზი – ისტორიულ განვითარებაშია – ევროპული მასების ისტორიული კავშირები ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან. შემდეგ, ევროპის განსაკუთრებულ მდგომარეობაში – ევროპის ქვეყნებს არ გააჩნიათ თავისი საკმარისი ნედლეული, ქვანახშირი, მატყლი და ა.შ. მათ კოლონიების იმედი აქვთ. და ამ თვალსაზრისით ისინი არჩევენ იარონ საკუთარ ბურჟუაზიასთან ერთად. შინაგანად ისინი არ ეთანხმებიან ჩვენს ანტიიმპერიალისტურ პოლიტიკას“.

იმ პერიოდში სტალინი ცდილობდა შეექმნა კოლექტიური უშიშროების სისტემა, დაახლოებოდა საფრანგეთსა და ინგლისს. ამ საკითხში ის მოქმედებდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისართან მ.მ.ლიტვინოვთან ერთად, რომელიც დასავლეთის დემოკრატიასთან საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის პირწავარდნილი მომხრე იყო. როგორც სტალინი, ლიტვინოვი კატეგორიულად გამოდიოდა მსოფლიო რევოლუციის წინააღმდეგ, ცდილობდა საბჭოთა დიპლომატია შეეთავსებინა სახელმწიფო პრაგმატიზმის ფორმატთან. თუმცა თავის ამ უარყოფაში მათ სხვადასხვა სტრატეგიული მიზნები ჰქონდათ. ლიტვინოვი ცდილობდა სოვეტიზმის ინტეგრაციას დასავლურ სისტემაში, მაშინ, როდესაც სტალინი დასავლეთთან კარგი ურთიერთობის მოწესრიგებას არ აყენებდა საზოგადოებრივ-სახელმწიფო მოწყობის დასავლური მოდელის მიბაძვისადმი დამოკიდებულებაში.

მას არ სუნდა „კვერცხების ერთ კალათაში ჩაწყობა“ და ამავე დროს აწარმოებდა მოლაპარაკებას ნაცისტურ გერმანიასთან. და როცა დასავლელმა დემოკრატიებმა უარი თქვეს სსრ კავშირთან სრულუფლებიან ხელშეკრულებაზე, ბელადმა ეს ხელშეკრულება დადო გერმანიასთან. ამით მან გადასწია ომის დაწყება და ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რომ მომზადებულიყო ამ ომისთვის.

საბჭოთა ბელადი დიდი კმაყოფილებით გაიყოფდა მსოფლიოს გერმანიის ფიურერთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა გეოპოლიტიკის საკითხში თავი წარმოაჩინა, როგორც ტროცკისტული ტიპის თავგამოდებულმა რევოლუციონერმა-ავანტიურისტმა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-16.

◎ რაგბი

## კარს მოგვადგა თებერვალი

**მართალია, თებერვალი ზამთრის თვეა და საკმაოდაც ცივა, მაგრამ მორაგბეებისთვის იგი ციებცხელებით იქნება სავსე: 6 თებერვალს სტარტს აიღებს ევროპის ერთა თასის 2010 წლის გათამაშება, რომელმაც ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასულ გუნდებს 2011 წლისთვის ახალი ზელანდიის საგზური უნდა მოუტანოს, სადაც მსოფლიოს თასი გათამაშდება.**



ბორჯღალოსნებმა შარშანდელი სეზონი დაუმარცხებლად განვლეს, მხოლოდ თბილისში პორტუგალიასთან ასპარეზობისას (20:20ძ დაკარგეს ქულა, ამის მიუხედავად, ტიტულს მესამედ დაეუფლნენ. ორი წლის შედეგების ჯამით საგზურის მოსაპოვებლად ჩვენებს წლეულს სამი მატჩის მოგებაც ჰყოფნით. ამდენად, თებერვალშივე, შესაძლოა, მოითავონ საქმე.

სტარტს ქართველი მორაგბეები თბილისში გერმანელებთან შეხვედრით აიღებენ. ეროვნულ სტადიონზე მეორე პაექრობას ესპანელებთან გამართავენ. იმედია, ორივე მატჩს უპიროზოდ მოიგებენ, აი, 13 თებერვალს ლისაბონში ლოზუშებსაც თუ დაამარცხებენ, ახალი ზელანდიის ბილეთებს წინასწარ დაჯავშნიან და რუმინეთისა და რუსეთის გუნდებთან სათამაშოდაც დაუძაბავად გავლენ.

ზემოაღნიშნული ორთაბრძოლებისთვის მოსამზადებლად ავსტრალიელმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა 26 მორაგბეს უხმო. ესენი არიან: გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, დავით ზირაქიშვილი, გიორგი ნემსაძე, ილია ზედგინიძე, გრიგოლ ლაბაძე, გიორგი ჩხაიძე, ბესარიონ უდესიანი, ირაკლი აბუსერიძე, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი მაჩხანელი, თედო ზიბზიბაძე, დავით კაჭარავა, მალხაზ ურჯუკაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი, დავით ხინჩაგაშვილი, ლევან დათუნაშვილი, ირაკლი გიორგაძე, დიმიტრი ბასილაია, ბიძინა სამხარაძე, იური ნატრიაშვილი, ვიქტორ კოლელიშვილი, ლაშა თავართქილაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, ალექსანდრე თოდუა, ირაკლი ყიასაშვილი.

როგორც ხედავთ, შემადგენლობაში დასახელებული არ არის მამუკა გორგოძე, რომელმაც საფრანგეთის რაგბის კავშირისგან 40-დღიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და ბორჯღალოსნებს თებერვალში ველარ დაეხმარება.

**გაუწყებთ ევროპის ერთა თასის გათამაშების წლევანდელ კალენდარს:**

**6 თებერვალი.** საქართველო-გერმანია, რუსეთი-პორტუგალია, რუმინეთი-ესპანეთი.

**13 თებერვალი.** პორტუგალია-საქართველო, ესპანეთი-რუსეთი, რუმინეთი-გერმანია.

**27 თებერვალი.** საქართველო-ესპანეთი, რუსეთი-რუმინეთი, გერმანია-პორტუგალია.

**13 მარტი.** რუმინეთი-საქართველო, ესპანეთი-პორტუგალია, რუსეთი-გერმანია.

**20 მარტი.** გერმანია-ესპანეთი, პორტუგალია-რუმინეთი, საქართველო-რუსეთი. ეს შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე — ტრაპიზონში გაიმართება.

◎ ფეხბურთი

## სათასო ვნებანი



**იტალიის თასის გათამაშებას მეოთხედფინალიდან სენსაციურად გამოეთიშა კალაძის გარეშე მოთამაშე „მილანი“, რომელიც საკუთარ მინდორზე „სერია-ა“-ს ერთ-ერთ მაჩანჩალა „უდინეზესთან“ დამარცხდა — 0:1. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ „როსონერიმ“ მილანური დერბი „ინტერთანაც“ წააგო — 0:2, რითაც საგრძნობლად გაირთულა სკუდეტოსთვის ბრძოლის საქმე. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია ისევ აგორდეს ამ გუნდის თავკაცის ლეონარდოს გადასაყენებელი კამპანია.**

ინგლისის ლიგის თასის გათამაშების ფინალში „უემბლის“ სტადიონზე ერთმანეთს „ასტონ ვილა“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეეხმეხიან. ამ უკანასკნელმა ორრაუნდიანი მანჩესტერული დერბი „სიტის“ მოუგო — 3:1, 1:2. მათი პირველი მატჩის ბედი „წითელი ეშმაკუნების“ ყოფილი ფორვარდის ტევესის „დუბლმა“ გადაწყვიტა, თანაც ის ბრძოლა სკანდალით დასრულდა, თუმცა ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

◎ ჭიდაობა

## ფავორიტები პოზიციას არ თმობენ

**აჭარის დედაქალაქში დაიწყო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც ობიექტური მიზეზებით არ მონაწილეობენ ოლიმპიური ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი (84ძ, ევროპის ვიცე-ჩემპიონი ბესარიონ გოჩაშვილი (55ძ და ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი გიორგი მაყიშვილი (60ძ, მძიმეწონოსან დავით მოძმანაშვილს კი დისკვალიფიკაციის ვადა ჯერ არ გასვლია.**

ასპარეზობის პირველ დღეს ჩემპიონები და პრიზიორები ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. 55 კილოში გორელმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ტიტული შეინარჩუნა — ფინალში საჩხერელი გივი დავიდოვი დაამარცხა. 60 კილოში მალხაზ ზარქუამ (აჭარაძ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ევროპის შარშანდელ მესამე პრიზიორ მალხაზ ქურდიანს (ბოლნისიძ სძლია.



შესანიშნავად იჭიდავა პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორმა ოთარ თუშიშვილმა (66, გორიძ,რომელმაც ყველა მეტოქე დაჯაბნა, მას შორის — ფინალში ევროპის მეორე პრიზიორი კობა კაკალაძე (აჭარაძ და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

თავი გამოიჩინა საქართველოს ნაკრების წევრმა, ევროპის მეორე პრიზიორმა გელა სალირაშვილმა (74, თბილისიძ, ოქროს მედლის მოპოვებით მან ეროვნულ გუნდში ისევ დაიბევა ადგილი.

◎ ძიუდო

## ტრადიციულის სტარტზე

**უკვე გაუწყეთ, რომ 30-31 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა ტრადიციული მსოფლიოს თასი გათამაშდება. შეჯიბრებაში 17 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ. იაპონელებს, ფრანგებს, აზერბაიჯანელებს ზოგიერთ წონაში ორ-ორი მოჭიდავე ეყოლებათ, ხოლო ქართველები და უკრაინელები ტატამზე 4-4 ფალავნით წარსდგებიან.**




ამას წინათ გაცნობეთ საქართველოს ნაკრების სრული შემადგენლობა, რომელშიც ბოლო დროს მცირე ცვლილებები მოხდა. 100 კილოში ლომერ ჟორჟოლიანს, რომელმაც იანვრის დასაწყისში კორეის მასტერსზე მესამე ადგილი დაიკავა, მწვრთნელებმა დასვენების უფლება მისცეს. მის ნაცვლად საპაექროდ დიმიტრი ტურაშვილს ვიხილავთ. მძიმე წონაში ვარჯიშისას ტრავმა მიიღეს ლაშა გუჯეჯიანმა და ალექსი დავითაშვილმა. მათ გიგა გუბელაძე და მირიან გონჯილაშვილი შეცვლიან.

შეჯიბრებები ორივე დღეს 10 საათზე დაიწყება. ფინალები 17 საათზე გაიმართება. ბილეთები 2 ლარი ეღირება.

◎ ჩოგბურთი

## ისევ ძველი გვარდია

**გამოვლინდნენ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი ქალები. ესენი არიან მსოფლიო რეიტინგის ყოფილი და მოქმედი ლიდერები ჟუსტინ ენენი და სერენა უილიამსი, რომლებმაც ნახევარფინალში ჩინური წინაღობები გადალახეს და ერთმანეთს ხვალ შეეხმეხიან.**



განსაკუთრებით გაუჭირდა „მწვანე კონტინენტის“ ოთხგზის ტრიუმფატორს, რომელმაც ნა ლის ორივე პარტია ტაიბრეიქზე მოუგო — 7:6, 7:6 და რევანში აიღო იმავე მეტოქესთან საკუთარი დის ვენუსის დამარცხებისათვის.

რაც შეეხება კორტზე ახლახან დაბრუნებულ ბელგიელს, მან წინა ბრძოლებით გამოფიტული ჩენგი გაანადგურა — 6:1, 6:0.

ვაჟთა ტურნირის მშვენებად იქცა ნოვაკ ჯოკოვიჩისა და ჯო-ვილფრედ ცონგის მეოთხედფინალი. შეგახსენებთ, რომ მათი შარშანდელი გადამწყვეტი დუელი აშშ-ს ღია პირველობაზე სერბმა მოიგო. ამჯერად ოთხსაათიან დრამატულ მარათონში ბედმა ფრანგს გაუღიმა — 7:6, 6:7, 1:6, 6:3, 6:1 და დღეს გამთენიისას ნახევარფინალში იგი როჯერ ფედერერს დაუპირისპირდება.

პირველი ფინალისტი გუშინ შოტლანდიელი ენდი მარეი გახდა, რომელმაც ხორვატ მარინ ჩილიჩს სძლია 3:1.

◎ ინტერნეტიდან

### კრამნიკი გალიდერდა

**ვეიკ-ან-ზეეში საჭადრაკო სუპერტურნირზე არსებითი ცვლილებები შეიტანა ოთხშაბათს გამართულმა მეათე ტურმა. ერთხელ კიდევ დამარცხდა ტურნირის ერთ-ერთი ლიდერთაგან ალექსეი შიროვი. ამჟამად მას „წირვა“ თეთრებით მოთამაშე ამჟამინდელმა მსოფლიო ჩემპიონმა ვიში ანანდმა გამოუყვანა. კარიაკინი კარლსენთან დამარცხდა, გაჰოლანდიელებულმა ტივიაკოვმა კი ყველას „ხელწამოსაკრავი“ სმიტსი დაჯაბნა.**

ყაიმზე შეთანხმდნენ კრამნიკ — ივანჩუკი, დომინგეს — ნაკამურა, კარუანა — ვან-ველი.

10 ტურის შემდეგ კრამნიკს 7 ქულა აქვს. კარსლენსა და შიროვს — 6,5, ანანდს, დომინგესს, ივანჩუკს, კარიაკინს, ნაკამურას — 5,5, ლეკოს (9 პარტიიდანძ — 4,5, კარანუას, ტივიაკოვს — 4, ვან-ველის — 3,5, შორტს — 3 (9ძ, სმიტსს — 1,5.

გუშინ მოჭადრაკეები ისვენებდნენ.

### ჯერარდი — მუზეუმში

**ინგლისური „ლივერპულის“ კაპიტანი სტივენ ჯერარდი მესამე ფეხბურთელი გახდა, ვისი ცვილის ფიგურაც გამოიფინა მადამ ტიუსოს სახელგანთქმულ ლონდონის მუზეუმში.**



ფეხბურთელის ფიგურაზე საუკეთესო ბრიტანელი მოქანდაკენი შარშანდელი ოქტომბრიდან მუშაობდნენ, ამ დროს მათ ჯერარდის სხეულის 300-ზე მეტი აზომვა გააკეთეს და შექმნეს გულშემატკივართა კერპის ფოტოსურათების მთელი კატალოგი. მთელი ეს სამუშაო 150 ათასი გირვანქა სტერლინგი დაჯდა.

ჯერარდი „ლივერპულის“ ფორმით დევიდ ჰექჰემისა და უეინ რუნის გვერდით „დადგა“.

### თოვლის ტრასებს აშენებენ



**2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ავრალული წესით ამზადებენ სნოუბორდინგისა და ფრისტაილის ტრასებს. საინპრესს-მაუნტინის დასახლებაში. ანომალური თბილი ამინდის გამო თოვლის ნაკლებობაა, ტრასები დახურეს ტურისტებისთვის. კანადის ფრისტაილის ასოციაციის პრეზიდენტმა პიტერ ჯაჯმა აღიარა, რომ ორგანიზატორები გადავიდნენ მუშაობის „ექსტრენულ“ გეგმაზე.**

თუმცა კანადაში სწამთ, რომ პრობლემები ვერ შეაფერხებენ ოლიმპიური შეჯიბრებების გრაფიკს. თუმცა ისიც გახდა ცნობილი, რომ ძირითად ტრასებს ფიცრითა და ბალახით დაფარავენ. მასზე კი გადააყრიან როგორც ნატურალურ, ისე ხელოვნურ თოვლს, რისთვისაც ვერტმფრენებს გამოიყენებენ.

როგორც საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა მერი ფრეიზერმა განაცხადა, ბრიგადები დღედაღამე მუშაობენ თოვლის შენარჩუნებისა და კონსერვაციისათვის. მათ ამაში ხელს უწყობს ტრასების საიმედო ხარისხი.

### ოლიმპიადის წინ გაიხადა

**ყაზახეთელი ბიატლონისტი ქალის ელენა ხრუსტალიოვას კონტრაქტში წერია, რომ მან ვანკუვერში ზამთრის ოლიმპიადაზე პირველიდან მეექვსე ადგილამდე მაინც უნდა დაიკავოს. ხოლო გულშემატკივრების და კოლეგების მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იქნება. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ის კანადიდან ოქროს მედლის ჩამოტანას აპირებს, არამედ იმიტომაც, რომ ოლიმპიადიდან ორი კვირით ადრე მან მონაწილეობა მიიღო პიკანტურ ფოტოსესიაში. 30 წლის ლამაზმანი სპორტსმენის ფოტოსურათებს ყველას „პრესბოლი“ სთავაზობს.**

„ექვსეულში მოხვედრა ჩემი კონტრაქტის ნაწილია, — განაცხადა ბიატლონისტმა, — თუ კი მე მას ვერ შევასრულებ, რასაკვირველია, არავინ დამხვრეტს, მაგრამ მთავარი ეს როდია, მთავარი ისაა, რომ ეს ჩემი მიზანია“.

ხრუსტალიოვა მონაწილეობდა 2002 წლის ოლიმპიადაში ბელორუსიის სახელით. ის ევროპის სამგზის ჩემპიონია რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში. აგრეთვე ორგზის პრიზიორია 2007 წლის აზიურ თამაშებში, ამჯერად უკვე ყაზახეთის ნაკრების შემადგენლობაშია.



ის ოთხჯერ მოხვდა მსოფლიო თასის საუკეთესო ათეულში, თანაც მეექვსე იყო 2009 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ინდივიდუალურ რბოლაში.

**შპს „ახალი ქსელების“ ქ. ქუთაისის აბონენტთა საყურადღებოდ**

**შპს „ახალი ქსელები“ 2010 წლის 1 მარტიდან აწესებს ადგილობრივი კავშირების მომსახურების ახალ ტარიფებს:**

1. ბინის სექტორის სატელეფონო კავშირით მომსახურების ყოველთვიური გადასახადი:

**I პაკეტი სააბონენტო გადასახადი — 3 ლარი,**

შიდა ქსელში ადგილობრივ სატელეფონო საუბრებზე უფასო სალიმიტო დრო — 300 წუთი, ლიმიტს ზევით დამატებით 1 წუთის ღირებულება დღის სთ 2 თეთრი, ღამის სთ (24:8ძ 1 თეთრი, გარე ქსელში (სხვა ოპერატორის ქსელის მიმართულებითძ ადგილობრივი სატელეფონო საუბრების 1 წუთი — 5 თეთრი, მობილური ქსელის მიმართულებით 1 წუთი ღირებულება — 28 თეთრი;

**II პაკეტი სააბონენტო გადასახადი — 5 ლარი,**

შიდა ქსელში ადგილობრივი სატელეფონო საუბრები უფასო. გარე ქსელში (სხვა ოპერატორის ქსელის მიმართულებითძ ადგილობრივი სატელეფონო საუბრების 1 წუთი — 5 თეთრი, მობილური ქსელის მიმართულებით 1 წუთი — 28 თეთრი;

**III პაკეტი სააბონენტო გადასახადი — 7 ლარი**

შიდა ქსელი უფასოა, გარე ქსელში (სხვა ოპერატორის ქსელის მიმართულებითძ ადგილობრივ სატელეფონო საუბრების 1 წუთის ღირებულება — 5 თეთრი, მობილური ქსელის მიმართულებით 1 წუთი — 22 თეთრი.

**შენიშვნა: მოცემული ტარიფები შეიცავს დღგ-ს.**

◉ წლები

# არ უძებნია დიდების გვირგვინი

*ვინც კარგად ემსახურა სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდგვაროდაც დიდია*
*ვოლტერი*



არიან ადამიანები, რომლებსაც, შეიძლება რაიმე ისტორიული ძვრები არ მოუხდენიათ, დაფნის გვირგვინები და დიდების შარავანდედი არ მოუპოვებიათ, მაგრამ თავისი უხმაურო, თავდადებული შრომით დიდ სახალხო საქმეში საკუთარი წვლილი შეუტანიათ. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, ბატონი საშა აბშილავა, რომელსაც 31 იანვარს 95 წელი უსრულდება და თავის დაბადების დღეს ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე ხვდება. იგი თავის მეგობრებს წინასწარ გვეპატიჟება თავის საუკუნოვან იუბილეზე.

ვულოცავთ ბატონ ალექსანდრეს ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს!

**ვლადიმერ კანკავა,**
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თბილისის ორგანიზაციისა და სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.**

◉ ოთხშაბათობა რედაქციაში

# ამჯერად „ფაეტონი“ გვეწვია



ყოველი ოთხშაბათი „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში ხელოვნების საღამოდ იქცა. ამჟამად რედაქციამ ანსამბლ „ფაეტონს“ უმასპინძლა. ანსამბლი შვიდი წევრისგან შედგება. მათ ქართული სიმღერები შეასრულეს. ილია დათუაშვილის, ფრიდონ კერვალიშვილის, ბექა ღვინაშვილის, გიგა ლოლაშვილის, დათა ლოლაშვილის, ზაზა პაპაძისა და თამაზ ჯამაგიძის მოსმენას მართლაც არაფერი სჯობდა.

ეს ბიჭები თავის დროზე ანსამბლებში: „რუსთავი“, „სუხიშვილები“, „ნაბადი“, „ლაშარი“, „ერისიონი და „ბასიანი“ მოღვაწეობდნენ. „ფაეტონის“ ჩამოყალიბება და მათი გაერთიანება კი ცნობილ ანსამბლ „სიმიდან“ დაიწყო. პარალელურად „სიმშიც“ მღერიან, რომელსაც რეზო გელაშვილი ხელმძღვანელობს.

3 წელიწადია ანსამბლი „ფაეტონი“ ქართული ფოლკლორის პროპაგანდას ეწევა. მათ სუხიშვილების ყოფილმა მოცეკვავემ ჯუმბერ ბერაძემ ცნობილ რესტორან „ფაეტონში“ შესთავაზა სამსახური, სადაც ყოველ საღამოს სტუმრებს ქართული ხალხური ჰანგებით ატკბობენ.

ანსამბლი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც წარმატებით მოღვაწეობს. ჰყავთ ფრანგი იმპრესარიო სერჟ პულენი, წელიწადში ორჯერ საფრანგეთში საკონცერტო ტურნეთი ჩადიან და სხვადასხვა ქალაქში კონცერტებს მართავენ. მათი რეპერტუარი ქართული საგალობლებისა და ეგრეთ წოდებული ქალაქური სიმღერებისგან შედგება. ანსამბლის წევრები თვითონვე უწევენ სიმღერებს აკომპანიმენტს. თითოეული მათგანი უკრავს გიტარაზე, ჩონგურზე, ფანდურზე, დოლზე, გარმონზე, სალამურზე, დუდუკზე, დასარტყმელ ინსტრუმენტებზე... 19 მარტს ანსამბლი, იმპრესარიოს მიწვევით, საფრანგეთში მიემგზავრება, და იმედია, მათი კონცერტები საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში, ტრადიციისამებრ, ქართული ფოლკლორის ზეიმად იქცევა.

რედაქციაში „ფაეტონმა“ მრავლისმნახველი ჟურნალისტებიც მოხიბლა! შინ მიმავალთ თან მიგვყვებოდა „ქართლური მრავალჟამიერის“, „თუშური სატრფიალოს“, „გარეკახურის“, „მეგრული პოპურის“, იმხნელების სიმღერების დაუვიწყარი ჰანგები...

**ხატია მუსერიძე**
**მურად ალაშვილის ფოტო.**



● შემომწირველთა რაოდენობა – 52 ფიზიკური პირი. კანონით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია მ. წ. 7 თებერვლამდე წარედგინება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

## დაიჯესტი

### პატრიარქის სახელის უკვდავსაყოფად



**სასიქადულო ქართველმა მოქანდაკემ ზურაბ წერეთელმა განაცხადა, რომ სურს სრულიად რუსეთის აწ განსვენებულ პატრიარქს ალექსი II მოსკოვში ძეგლი დაუდგას. თავად ქანდაკება მან ჯერ კიდევ 2003 წელს შექმნა და ამჟამად პრეზენტაციაზე რუსეთის სამხატვრო აკადემიის სამუზეუმო-საგამოფენო კომპლექსშია გამოფენილი.** ბატონი ზურაბი ძეგლის დადგმას მოსკოვის ცენტრში გოგოლის ბულვარზე, იმ ადგილას გეგმავს, რომელიც მაცხოვრის სახელობის საყდრისა და პატრიარქის ხიდიდან სულ ხუთიოდე წუთის სავალზეა.

მონუმენტის სიმაღლეა 2,5 მეტრი, იგი ბრინჯაოდანაა ჩამოსხმული.

### ველოსიპედი – ამფიბია



**ღირს კი ველოსიპედის გამოგონება? ამერიკელ ბარი როჯერსს და მის ძმას ჯეკს ამ კითხვაზე ტვინი დიდხანს არ უჭყლეტიათ.** თავიანთი ველოსიპედი მათ ძველი სათადარიგო ნაწილებისგან ააწყეს. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ მათი ველოსიპედი გამოგონებაა, რომელიც ერთ-ერთმა ფირმამ ძმებისგან იყიდა ველოსიპედ-ამფიბიის საწარმოებლად.

### აურზაური არაფრის გამო

**დევი ჰარიმ და კოლი სიბლიმ მოილაპარაკეს თავიანთი „რენოს“ მარკის ავტომანქანები ისე შეედუღებინათ, როგორც ფოტოზეა აღბეჭდილი.** ახლა კი, ჟურნალ „ოსთრელეიშნ პოსტის“ ცნობით, ისინი ვერაფრით მორიგებულან, თუ ჯერ რომელ მხარეს წავიდნენ.




### მარიანა, მარიანა...



**მშვენიერი საფრანგეთის ასევე მშვენიერი სიმბოლო, ულამაზესი ქალიშვილი მარიანაა.** მის ბიუსტებს, ჩვეულებრივ, საფრანგეთის ქალაქების მერიებში დგამენ. სამიოდე ათწლეულის წინ სკულპტორ ა.ასლანისთვის მარიანას პროტოტიპი პოპულარული კინომსახიობი ბრიჯიტ ბარდო იყო. გარდა ამისა, მარიანას პროტოტიპები სხვადასხვა წლებში ასევე იყვნენ მსახიობები კატრინ დენევი და იზაბელ აჯანი.

### დენის დასავლური ხიდი

**ბრიჯი (რაც ინგლისურად „ხიდს“ ნიშნავს) მსოფლიოში იმდენად პოპულარული ბანქოს თამაშია, რომ მრავალ ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატებიც კი ტარდება საუკეთესოთა გამოსავლენად. მეტიც: ჩემპიონატები ასევე ყველა კონტინენტზეც ტარდება და არის კიდევ ამ მართლაც უაღრესად საინტერესო და ჭკვიანური თამაშის მსოფლიო ფორუმიც...**



XX საუკუნეში ჩინეთში ბრიჯი, ისევე როგორც სხვა „ბურჟუაზიული“ გადმონაშთი აკრძალული იყო, მაგრამ როცა კულტურული რევოლუციის ცეცხლი მინავლდა, „დიდმა მესაჭემ“ მაო-ძე-დუნმა სული დალია და ქვეყნის სათავეში ამ თამაშის ტრფიალი დენ სიაოპინი მოვიდა, ბრიჯიც, სხვა „ეშმაკეულ“ რამე-რუმეებთან ერთად, კვლავ გამოვიდა იატაკქვეშეთიდან.

საგულისხმოა, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში, ბრიჯის მიმომხილველ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ (თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე ასეთი ორგანიზაციაც არსებობს!) დენ სიაოპინს „1981 წლის ბრიჯის რაინდის“ საპატიო წოდება მიანიჭა. ასოციაციის წარმომადგენლის განცხადებით ჟურნალისტებმა ამით ხაზი გაუსვეს იმას, რომ სწორედ დენ სიაოპინის წყალობით ჩინეთმა ამ მხრივაც კარი გაუღო დასავლეთს.

### სახალისო დეკორაცია

**როგორც ჩანს, შარშანდელი № 1 პოლიტიკური მოვლენათა არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში – საპრეზიდენტო არჩევნები – კვლავაც აღელვებს მასმედიასა და საზოგადოებრიობას. ამასთან დაკავშირებით იხსენებენ ზოგადად არჩევნების თემასთან დაკავშირებულ კურიოზებსაც.**



დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წინათ აიდაჰოს შტატის გუბერნატორის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, რესპუბლიკელთა კანდიდატმა ა.ლარსენმა მაშინდელი გუბერნატორი ჯ.ევანსი სატელევიზიო დისკუსიაში გამოიწვია, მაგრამ უარი მიიღო. ლარსენმა მიანც ჩაატარა თავისი შოუ... ცარიელ სკამთან.

### ცხვარი უძახე შენ...

**ცხვარი ადამიანის მიმართ ერთ-ერთი ყველაზე ერთგული შინაური ცხოველია.** ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან დააკვირდნენ: ცხვრის სამი ფარაც რომ აურიონ ერთმანეთში, მწყემსები კი სხვადასხვა მხარეს გაემართონ, თითოეული თხა თავის პატრონს გაჰყვება.



### სალიუ, მადამ ბრიჯიტ!

**საფრანგეთის კინოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი ქალის ბრიჯიტ ბარდოს გამოსახულებიანი ოქროსა და ვერცხლიდან ჩამოსხმული მედალი, რომლის ესკიზის ავტორი კლოდ ლეზო იყო, 1979 წელს გამოუშვეს.** მედლის ავერსზე, ცხადია, თავად ეს ულამაზესი ქალბატონი იყო გამოსახული, სერვესზე კი ჩამოთვლილი იყო ძირითადი ფილმების სახელწოდებები, რომლებშიც მსახიობი მონაწილეობდა. ვერცხლის მედლის ფასი 30 ფრანკი იყო, ოქროსი კი – 10 ათასი! აღსანიშნავია, რომ მედლის გამოშვებიდან ორიოდე თვეში იგი რარიტეტად იქცა.



## სასწავლო სტიპენდია ეკონომიკაში

1) სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (პრაღა, ჩეხეთი). დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად გაეცანით აღნიშნულ ვებ-გვერდს: www.cerge-ei.cz

2. სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამა ეკონომიკაში (პრაღა, ჩეხეთი). საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2010 წლის 28 თებერვალი. დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად გაეცანით აღნიშნულ ვებ-გვერდს: www.cerge-ei.cz

3) კარლის უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტი (CERGE-EI) (პრაღა, ჩეხეთი) აცხადებს მიღებას კურსდამთავრებულთათვის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამაზე ეკონომიკაში. საბუთების მიღების ბოლო ვადაა 28 თებერვალი, 2010. დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად გაეცანით აღნიშნულ ვებ-გვერდს: www.cerge-ei.cz

Scholarship in Economics for Graduated Students
The Center for Economic Research and Graduate Education - Economics Institute offers the program of doctoral studies in theoretical and applied economics with full funding.
Application deadline: February 28, 2010.
For further information please see the website: www.cerge-ei.cz

---

სააქციო საზოგადოება „სოფმშენის“ კოლექტივი იუწყება, რომ ბატონ იოსებ ხარატიშვილს გარდაეცვალა ძმა

ლევან ხარატიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს მას და გარდაცვლილის ოჯახს.

სს „სოფმშენის“ კოლექტივი

*რედაქცია ბოდიშს უხდის ბატონ სოსო ხარატიშვილს გუშინდელ განცხადებაში გაპარული უზუსტობისთვის.*

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ბატონ სოსო ხარატიშვილს ძმის

ლევან ხარატიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ გაგუნაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ იოსებ ხარატიშვილს ძმის

ლევან ხარატიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ელვერი, თორნიკე, ლოტბერდი, ელზა, შვილიშვილები მევლუდი, თეონა, ნატო, ზურაბი, ლაშა, ლევანი, სერგო, თამარი, შვილთაშვილები ელენე, სალომე, ლიზი, ბარბარე, რძლები მერი, რუსიკო, ნათელა, სოფიკო, ნია, სიძეები ნოდარ ოსეფაიშვილი, აკაკი გეწაძე, გიორგი რთველაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სერგო (სერიოჟა) იასონის ძე კუპატაძე

პანაშვიდი ყოველდღე 11 საათიდან. დაკრძალვა ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოში. 31 I, 14 სთ.

---

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრები რევაზ ნაცარიშვილი, კარლო გარდაფხაძე, გიორგი ხაზარაძე, მოსე მდინარაძე, თორნიკე პაპავა, იოსებ ხაზარაძე, გურამ გვეტაძე, ბიძინა კარტოზია თანაუგრძნობენ კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ელვერ კუპატაძეს მამის

სერგო კუპატაძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ცენტრალური კავშირის თავმჯდომარეს ელვერ კუპატაძეს მამის

სერგო კუპატაძის

გარდაცვალების გამო.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.